140/2
1945

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი

1945 №11

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პ ი ო ნ ე რ ი

საქ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 11

1945 წ. დეკემბერი

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამომცემლობა „კომუნისტი"

ПИОНЕРИ

№ 11

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти"

ჯეგული

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

(ნაწყვეტი)

ძაშ, შემოვძახოთ, აკინებო, სიმღერა ძმური,
კონსტიტუცია დღეს შევამოოთ ჩვენ სტალინური.

გამოვიქვათ გულის მდელვარება, ლტოლვა ფარული:
ვადიდოთ სალსთა მეგობრობა და სიყვარული.

ვუთხრათ სიმღერა აუვაებულ სამშობლო ველებს,
გამარჯვებისკენ მოვუწოდოთ ყველა მშრომელებს.

ვადიდოთ: ეინაც მილიონთა კაათბო გული,
სტალინი—ჩვენი სიამაყე და მამა ბრძნული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. სვერეა

ნახატები ირ. რაზმაძისა

40 წლის წინათ

40 წლის წინათ, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, საქართველოსა და კავკასიის მშრომელები დიდ რუს ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ მეფის მთავრობის, კაპიტალისტებისა და შემპყრობთაგადაზნაურთა ბატონობის დასამხობად.

დიდი ლენინი რუსეთის რევოლუციის დასაწყისიდანვე აღნიშნავდა, რომ კავკასიისა და საქართველოს ბუშები და გლეხები თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულ თავდადებას ჩრენენ.

მე-19 საუკუნის დასასრულს ლენინმა და სტალინმა შეიიარაღეს რუსეთის მუშათა კლასი მოწინავე, რევოლუციური თეორიით და ასწავლეს ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის. მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი დაირაზმა ლენინ-სტალინის ირგვლივ და 1905 წლის რევოლუციაში საქართველოს მშრომელები თავის ომმეფე რუს ხალხთან ერთად გაბედულად გამოვიდნენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

1905 წლის დეკემბერში მშრომელთა ბრძოლა აჯანყებად გადაიზარდა და წალეკვით ემუქრებოდა ხალხთა დამმონებლებს.

თუმცა მაშინ რუსეთის პირველი რევოლუცია დროებით დამარცხდა, მაგრამ როგორც დიდი სტალინი ამბობდა, რუსეთის პროლეტარიატი ძალებს იკრებდა მომავალი, ძლევამოსილი გალაშქრებისათვის.

და აი 1917 წელს ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით რუსეთის მშრომელებმა დაამხეს მეფის მთავრობა, ექსპლოატატორები და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება.

1905-7 წლების რევოლუციაში რევოლუციის წინამძღოლმა პროლეტარიატმა თან გაიყოლია მშრომელი გლეხობა, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, მოსწავლე ახალგაზრდობა. მუშისა და გლეხის ბედი ერთ მეფის რუსეთში სასტიკად იტანჯებოდნენ, მათ არ იცოდნენ (ისე როგორც ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებშია) ბავშვობის ლაღი და საუკეთესო ხანა, რადგან, არ ჰქონდათ სწავლის, დასვენების, კულტურული გართობის შესაძლებლობა. მუშისა და გლეხის შვილები ბავშვობიდანვე მძიმე შრომის უღელში იყვნენ შებმული, ხოლო შრომის ფასი მეტად მცირე იყო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომლიდანაც წარმოსდგა შემდეგ ბოლშევიკების პარტია, პირადად დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა იმ თავითვე მიაქცია ყურადღება მშრომელთა შვილებს.

1901 წელს თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იყო მოწაფეთა სოციალ-დემოკრატიული წრეები: 1901 წლიდან საქართველოში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მუშებთან ერთად გაფიცვებში მონაწილეობდნენ მუშა-ბავშვებიც. ასე იყო თბილისში, ბათუმში, ბაკოში და სხვაგან. 1902 წელს ბათუმში ახალგაზ სტალინის ხელმძღვანელობით მუშებმა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი გაფიცვა მოახდინეს, გაფიცვების დემონსტრაციები მოაწყვა; ამ დემონსტრაციებში (8-9 მარტს) მუშა-ბავშვებიც—11-14 წლისანნი—მონაწილეობდნენ, ისინი გაფიცულ მუშებთან ერთად დააპატიმრეს. ამხანაგმა სტალინმა პატარა პატიმრებს "საყრობილეში შეუტანია კაკალი და სხვა ხილი. 1904 წლიდან ქუთაისში, თბილისში, ხაშურში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში მოსწავლეები გაფიცვებს აწყობდნენ და რევოლუციური ლოზუნგებით თავიანთ მამებსა და ძმებთან ერთად გამოდიოდნენ დემონსტრაციებში.

1905 წელს ოზურგეთის (ახლანდელ მახარაძის) ქალთა ეპარქიულ სკოლაში (ამ სახის სკოლებში უმთავრესად ღარიბი სამღვდელოების შვილები სწავლობდნენ) მოწაფეებმა ჩამოგალიჯეს კედლიდან ბეფის სურათი და დემონსტრაცია გამართეს.

ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ ბავშვები რევოლუციის დროს. ისინი ავრცელებდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს. ცოცხალ კავშირს ამყარებდნენ ორგანიზაციებთან. ერთ ძველ მუშას, რომელიც მაშინ 14 წლისა იყო და მშკენივრად ახსოვდა ერთი ქარხნიდან მეორეში ცნობების მიწოდებას, საალერსოდ „კურიერი" (მიკრიკი) უწოდეს და ბოლოდეს შერჩა ეს მეტსახელი.

1905 წელს საპირველმაისო დემონსტრაციის დროს ბავშვებს დაეალეს პატარა წითელი ალმების გამოფენა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. 12-13 წლის გოგონები და ბიჭები აარულებდნენ ამ საქმეს. ღამით, როცა პოლიციელებისა და ჟანდარმების თვალს გადაერიდნენ, ბავშვებმა სახლების აივნებზე, ხეებზე, ტელეგრაფის ბოძებზე წითელი დროშები გამოფინეს. რამდენჯერ მოუკრაგავთ გოგონებს წითელ დროშებზე ბოლშევიკური ლოზუნგები!..

მაშინდელი თბილისის პირველი გიმნაზიის (ახლანდელი სტალინის სახელობის პირველი ჯაჭთა სკოლა) მოსწავლეები 1905 წელს ოტტომბერში მშრომელებთან ერთად გამოდიოდნენ დემონსტრაციებში. მეფის მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა სროლა აუტეხეს გიმნაზიის შენობას, რამდენიმე მოსწავლე მოკლეს და დაჭრეს. მთელი საქართველოს მშრომელნი აღაშფოთა მთავრობის ამგვარმა სიმხეცემ. ბრიალა სკოლის მოსწავლეები პროტესტით გამოეხმაურნენ უდანაშაულო ბავშვთა მიმართ ასეთ სიმხეცეს.

დეკემბრის აჯანყებისას მშრომელთა შვილები თავიანთ მამებსა და ძმებთან ერთად ბარიკადებზე იბრძოდნენ ქუთაისსა, ბათუმსა, თბილისის ქუჩებში. თბილისში ნაძალადევში 18 დეკემბერს მუშები გმირულად იბრძოდნენ ბარიკადებზე, მათთან იყვნენ მუშის შვილები. ნორჩი რევოლუციონერები ზვერავდნენ ნაძალადევის სერებს და შეიარაღებულ წითელარაზმელებს აწვდიდნენ ცნობებს მტრის ჯარის მოახლოების შესახებ. ქუთაისში დეკემბრის აჯანყების დროს ბარიკადებზე აჯანყებულებთან იყო დიდი პოეტი ვლ. მაიაკოვსკი, მაშინ გიმნაზიის მოწაფე.

1904 წლის აპრილში თბილისში მუშათა დემონსტრაცია გაიმართა, დემონსტრანტებს ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს. ამის გამო კავკასიის კავშირის კომიტეტის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მთავრობის შეიარაღებულმა კაზაკებმა ალყა შემოარტყეს ხალხს და „სცემდნენ ხმლებით, აწყვიტნენ მათრახებს... სცემდნენ მოხუცთ და ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს, სცემდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას — გიმნაზიელებს, სახელოსნო სკოლის მოსწავლეთ". ასე უსწორდებოდა მეფის მთავრობა ახალგაზრდებსა და ბავშვებს.

დიდი სტალინი მუდამ დიდად აფასებდა ახალგაზრდობის გამოსვლებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის. 1905 წელს პროკლამაციაში ამხანაგი სტალინი წერდა: „არც მოსწავლეები ჩამორჩნენ საერთო მოძრაობას, მთაც გაუწოდეს ხელი მუშახალხს და თავიანთი ნორჩი ხმა შეუერთეს მათს რევოლუციურ ხმას". ნორჩი თაობა სახელოვნად იბრძოდა თავისუფლებისათვის. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაემხო ჭრაგრელთა ბატონობა და დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას ისტორიაში.

ჩვენმა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება. ჩვენი ნორჩი თაობისათვის უცხოა ის მძიმე ხვედრი, რაც მეფის დროს და ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ტანჯავს მშრომელთა შვილებს. საბჭოთა ბავშვები უბედნიერესნი არიან ყველა დროისა და ქვეყნის ბავშვებთან შედარებით. სტალინურმა კონსტიტუციამ ჩვენს ბავშვებს მისცა საყოველთაო-საავადმყოფო უფასო სწავლების საშუალება. საბჭოთა კავშირის ბავშვები გარეგმოსილი არიან პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის უდიდესი მზრუნველობითა და ყურადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს აქვთ სწავლის, კულტურული დასვენების, გართობის ყოველგვარი შესაძლებლობა. ახლა ისინი დედაენაზე სწავლობენ, წინათ კი ასე რომ იყო. ალარ არის განსხვავება ბოდების, ეროვნების მიხედვით ან სხვა რომელმე შეზღუდვა, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლაც სულს უხუთავს ხალხსა და ნორჩ თაობას. ეს ბედნიერი ბავშვობა ჩვენს ნორჩ თაობას საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა, ამიტომაც უყვართ საბჭოთა ბავშვებს ასე ძლიერად თავისი სამშობლო.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ნორჩი პატრიოტები ყოველმხრივ ავლინებდნენ სიყვარულსა და დავალებას დედა-სამშობლოსადმი.

სოციალისტურმა ქვეყანამ, სტალინის ეპოქამ შეუქმნა ნორჩ თაობას ყველა პირობა ყოველმხრივ გაშალოს და განავითაროს თავისი უნარი და ნიჭი. ამ ბედნიერი მომავლისათვის იბრძოდნენ მშრომელთა შვილები წარსულში დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე.

ახლა თქვენ, პიონერები, აგიზგიზებულ კოცონთან პიონერულ შეკრებაზე ხშირად ი•ენთ საუბარს თქვენი წინაპრების წარსული რევოლუციური მუშაობის შესახებ.



სიო ხიდისთაველი

გელადის აკვანთან

ვინ არ გიმღერის, ვინ არ გნახულობს,
ყობას აკვანო, მშობელო მხარევ!
შენს ცას, შენს მიწას შეყვარებულმა
გიახე და შენით კვლავ გავიხარე.

გულს აღტაცებით ვის არ აუნთებს
შენებრ დიადი გმირის მშობელი!
აქ დაიბადა ბრძენი სტალინი
სიცოცხლის წყარო დაუშრობელი.

ჩიტიც არ ცხოვრობს, რომ არ უმღერდეს
გორის მიწა-წყალს, ამ ქოხს პატარას,
სადაც ყრმა სოსომ მზის სიყვარული
დიდი მომავლის სხივად ატარა.

მარად მღვიძარე მაღალ კრემლიდან
ივი ანათებს ახალ ქვეყანას.
ხალხებს საერთო დიდი სამშობლო
და ერთმანეთი მან შეგვაყვარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყვარელი წიგნი

ყოველ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, არაერთგზის დაგვბადებია უდიდესი სურვილი გაეცნობოდით საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის ბავშვობის, მოწაფეობის პირადს თვისებებს, მის იმ დროის ყოფა-ცხოვრებითს პირობებს.

და, აი, აგვისრულდა ნანატრი ოცნება, მივიღეთ ძვირფასი საჩუქარი, საყვარელი წიგნი „ბელადის ბავშვობა და ყრმობა", რომელიც ამ ცოტახნის წინად გამოსცა საქართველოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ.

ამ წიგნის ავტორი მხცოვანი მასწავლებელი პეტრე კაპანაძე ბელადის ბავშვობის განუყოფელი მეგობარია, მისი მოწაფეობის წლების ცხოვრების თანაზიარი, პირსა და ლხინში მასთან მყოფი, მათ ერთი თხილის გული რომ ეშოვნათ მასაც კი ერთმანეთს გაუყოფდნენ.

ერთიმეორეზე უდიდესი ინტერესით იკითხება ყოველი თავი. რამდენ საინტერესო, ამაღელვებელ და მისაბაძ ამბავს მოგვითხრობს ავტორი პატარა სოსოს ცხოვრებიდან ამ მომცრო ტანის, მზის სხივებით მოვარაყებულ წიგნში!

ჰკითხულობთ წიგნს და გიტაცებთ პატარა სოსოს უბადლო პირადი თვისებები: უდიდესი და მრავალმხრივი ნიჭი, სწავლისადმი დაუცხრომელი მისწრაფება, მეგობრისადმი სიყვარული და ერთგულება, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, მტკივნებისყოფა, ყველგან და ყოველთვის მოწრინველობა, თაოსნობისა და დაწყებული საქმის ბოლომდის მიყვანის უნარი, თავაზიანობა და თავმდაბლობა.

„დაწყებითს სკოლაშიც და სემინარიაშიც იოსები ყველგან და ყოველთვის წამყვან როლში მახსოვს.

განუსაზღვრელი ნდობა და სიყვარული, რომლითაც სოსო სარგებლობდა ამხანაგებს შორის, მისი პირადი თვისებებიდან გამომდინარეობდა.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სოსოს გაკვეთილი არ სცოდნოდეს; ისე დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი, რომ პირველობა არავისთვის დაუთმიაო".— ეკითხულობთ შესავალშიე.

და მარტო სასწავლო გაკვეთილების დასწავლით როდი ეკმაყოფილდებოდა პატარა სოსო, ის დიდი გატაცებით ეწაფებოდა გარეშე ლიტერატურას, ჯერ კიდევ პატარას მთლიანად გადაკითხული ჰქონდა ქალაქის ბიბლიოთეკის თვალსაჩინო წიგნები. თავდაპირველად გატაცებით კითხულობდა საგმირო ზღაპრებს „ყარამანიანს", „ამირანიანს", ხოლო შემდეგ ბელეტრისტულ და ისტორიულ თხზულებებს მიჰყო ხელი.

ამ მხრივ უფრო საყურადღებო ის არის, რომ სოსო მხოლოდ საკუთარი ცოდნის გამდიდრების ვიწრო სურვილით არ ჩაკეტილა, ის მხატვრულად მოუთხრობდა ამხანაგებს წაკითხულის შინაარსს, ამ ხერხით ბევრს შეაყვარა კლასგარეშე წიგნების კითხვა და ნორჩმა ამხანაგმა თვითგანვითარების ეზა გაუხსნა ტოლებს. ამასთან ერთად, ხშირად ძიძართავდნენ მას ცალკეული გაკვეთილის

ახსნა-განმარტებისათვის და ყოველთვის გულითად დახმარებას ღებულობდნენ მისგან. ყოველთვის მუყაითი და ბეჯითი სოსო განსაკუთრებით დაუზარებლად ასწორებდა ხოლმე დღე-ღამეს ამხანაგებთან ერთად მეცადინეობით გამოცდების პერიოდში.

და, აი სოსომ გორის სასულიერო სასწავლებელი პირველ მოწაფედ დაამთავრა. სასწავლებლის აღმინისტრაციის შუამდგომლობით იგი, როგორც პირველი ხარისხით კურსდამთავრებული მოწაფე, თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღეს.

ამ დროს თბილისის სემინარიაში მარქსისტული მოძღვრების შესწავლას საძირკველი ეყრებოდა. მოწაფეების არაოფიციალური წრეები [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ამ წერების თვალსაჩინო წევრი გახდა და მათი ხელმძღვანელობა სულ მოკლე ხანს აიღო ხელში.

ახალგაზრდა იოსეტ ჯუღაშვილი სემინარიელთა არალეგალური ჯგუფის ხელმძღვანელობას არ ასაჯერდა. ნაძალადევის მუშათა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი გაუბა და ლენინური მსოფლმხედველობით გატაცებული მთელი არსებით გადაეშვა მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ეს ამბავი არ გამოპპარვია სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციას, რასაც მოჰყვა იოსეტ ჯუღაშვილის ჯერ დევნა, ხოლო შემდეგ სასწავლებლიდან გარიცხვა და მთლიანად არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა.

წიგნს თავიდან ბოლომდის წითელი ზოლივით გასდევს ნორჩი სოსოს სამაგალითო პირადი თვისებები. უაღრესად კეთილშობილი ადამიანის, საუკეთესო ორგანიზატორის, დამოუკიდებელი შემოქმედის და მტკიცე მებრძოლის პირადი თვისებები.

* * *

„პეტრე კაპანაძის მოგონება—„ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ — დიდი **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის ცხოვრების ფაქტებზეა დამყარებული. როგორც თითონ ავტორიც აცხადებს, ამ წიგნში აღნუსხული არც ერთი ამბავი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენს. ამიტომ პეტრე კაპანაძის ეს პატარა შრომა ძვირფას მასალად უნდა მივიჩნიოთ ბელადის ბიოგრაფიის შესწავლისათვის.

„ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ ამაღელვებელი და ჩამფიქრებელია. მკითხველი ამ წიგნში ჩვენი დიდი ხელმძღვანელის ბევრ საცნობ თვისებას აღმოაჩენს.

პეტრე კაპანაძის წიგნის გამოსვლას, უეჭველია, დიდის კმაყოფილებით შეეგებება ჩვენი საზოგადოება. მას თანაბარი ინტერესით წაიკითხავს ნორჩიცა და დავაჟკაცებული მკითხველიც. ისიც უეჭველია, რომ ამ წიგნს ჯეროვნად გამოიყენებს ჩვენი სკოლა და, საერთოდ, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ჩაბმული ყველა ორგანიზაცია“. — სწერს თავის წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი ამხ. ვ. ეგნატაშვილი.

ძვირფასო ბავშვებო! წიგნი ბელადის ბაშვობასა და ყრმობაზე თქვენი სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს, გულდასმით უნდა შეისწავლოთ იგი და მასში მოთხრობილი ახალგაზრდა იოსეტ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილის ცხოვრების, სწავლისა და ტკბილი მერმისისათვის ბრძოლის მაგალითები საკუთარი ცხოვრებისა და მომავლის გზად და ხიდად გაიდოთ!

ᲭᲝᲚ-ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲨᲘ

(ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲠᲛᲝᲑᲐ“)

პატარა სოსოს (ის კლასში ყველაზე პატარა იყო ხნოვანებით) შეძლებული და უზრუნველყოფილი ცხოვრება არასოდეს არ ჰქონია.

საზოგადოებრივი წრე, რომელიც მას გარს ერტყა, ნივთიერად ღარიბი იყო, ხოლო სულიერად საღი. ამ წრეს მშრომელი მოსახლეობა შეადგენდა.

პატარა სოსოს ბევრი გაჭირვება გადაუტანია და სხვისი ჯირვარამიც ბევრი უნახავს. ცოცხალ მაგალითზე ეცნობოდა სოსო საზოგადოებრივ ურთიერთობას, იშვიათი მგრძნობიარენი დაჯილდოებული ბავშვი ძალიან ადრე ერკვეოდა სოციალურ საკითხებში.

მისი თანაგრძნობა თავიდანვე მუდამ მაშრომელთა მხარეზე იყო.

სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა ახასიათებდა სოსოს ოჯახს; როდესაც მას მეგობრები ეწვეოდნენ, დედა-შვილის სიხარული საზღვარი არა ჰქონდა.

პატარაობიდანვე სოსოს სიფაქიზე და სიუფთავე ახასიათებდა: თმა ყოველთვის წესიერად ჰქონდა გვერდზე კოხტად გადავარცხნილი. უბრალო, მაგრამ ყოველთვის სუფთა ხალათით დაიარებოდა. სადაც კი ცელქი და მბიარული სოსო გაჩნდებოდა, ყველგან მხიარულება და სიცოცხლე შეჰქონდა, კარგი ყოფაქცევით საერთო ნდობასა და სიყვარულს იმსახურებდა.

იყო შემთხვევა, როდესაც რომელიღაც უდიერი ბიჭი უხეშად დაარბევდა მშვიდად მოთამაშე ბავშვებს: მოხეზული წრეს ფეხთ წაშლიდა, საკოკაოდ ჩაჰქარიგებულ კაკლებს ერრიკით დაიტაცებდა და ჰაერში ისროდა.

ასეთ შემთხვევაში ის კულტურულ ძალას მიმართავდა: გონიერი სიტყვითა და დარიგებით ყოველთვის კარგ შედეგს აღწევდა. უდიერი ბოზნახაღმდეგე უგვანო საქციელზე ხელს იღებდა და დარიდებულად შორს წავიდოდა.

განმარტოებულად მყოფს ძალიან იშვიათად თუ ნახავდით, მუდამ ტოლ-ამხანაგებში იყო.

როდესაც ბავშვთა კოლექტივი თავიანთ რიგებში სოსოს ვერ ხედავდა, სულ ერთია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში იქნებოდა თუ მოედანზე, ეს მოვლენა ყველას თვალში ხვდებოდა.

ბერი კარგი გასართობი მახსოვს ჩემს ბავშვობაში. ათთ შორის ფრიად პოპულარული იყო „წრელასტი“, „ათურმა“, ბურთაობა, ჭიდაობა და კრივი.

„წრელასტის“ თამაში შემდეგი შინაარსისაა: დიდ სივრცეზე მოხაზულია წრე. წყება მოწაფეებისა წრის შიგნით დგება (დამცველები), მეორე წყება—კი წრის გარეთ (დამსხმელები).

დამცველს წრის ხაზზე გალაგებული აქვთ ქარები და იგერიებენ დამსხმელებს, რომლებიც ქარების მოტაცებას ლამობენ.

საკმაო ამ თამაშის დროს დამცველმა დამსხმელს ფეხი ფეხზე დაკრას, რომ დამსხმელი „ჩაჭრილად“ გამოცხადდეს, რასაც ამ ორ ბოპირდაპირე მოთამაშეთა შორის როლების შეცვლა მოჰყვება: დამსხმელი წრეში დგება, დამცველი—გარეთ გამოდის. დამცველ სოსოს ღამსხმელი მოთამაშე ვერასდროს ვერ სჯობნიდა. მოწინააღმდეგის მოქნეულ ქამარს ხელს შეუშვერდა, ქამარს მარჯვედ შეგებებულ ხელზე იხვევდა და მძლავრი დაქანეით მოწინააღმდეგეს წრეში შემოაგდებდა, რასაც მაყურებელთა მხიარული სიცილი და ყიჟინა მოჰყვებოდა.

ხელმძღვანელ სოსოს მოთამაშეების შერჩევაში და გაწესრიგებაში ბადალი არ ჰყავდა.

არ მახსოვს შემთხვევა, რომ ასეთ მასობრივ გასართობში მისი ნაკრები დამარცხებულიყოს.

ბორის სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლების მოწაფეებს შორის ხშირად იმართებოდა კრივი.

კრივი იგივე ბოქსია. ამ სპორტს ჩვენი დროინდელი საზოგადოება ისეთივე ინტერესით ეკიდებოდა, როგორც დღეს საბჭოთა კავშირში ფეხბურთს ეკიდებიან.

თუ ამ სპორტის მოთაწილე კარგად გაწრთვნილია და მოხდენილად თამაშობს, კრივი ძალად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს.

სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების მოკრივეთა ნაკრებები ძალიან თითქმის თანატოლნი იყვნენ.

ერთიერთ შეჯიბრებაში სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა სასულიერო სასწავლებლის მოკრივეები დაამარცხეს.

ჩვენები ვერ შეურიგდნენ ამ დამარცხებას და ხელახლა გამოიწვიეს სამოქალაქო სასწავლებლის მოკრივეები.

მოწინააღმდეგეებმა გამოწვევა მიიღეს.

ორივე მხარეზე დიდი სამზადისი გაჩაღდა.

დანიშნულ დღეს კრივი შესდგა.

სასულიერო სასწავლებელმა სოსოს მიანდო ამ შეჯიბრებაშიაც ხელმძღვანელობა.

უნდა გეგანახვა, რა სიბეჯითით ემზადებოდა სოსო ამ გადაწყვეტილ თამაშისათვის.

ბორის დიდი მოედანი საზოგადოებით გაიჭედა. მოედნის ერთ თავში სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა მოკრივეები დგანან (უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებლები ხშირად თავიანთ რიგებში მოიპატიჟებდნენ ხოლმე ეგზარეებსაც, ქალაქში ცნობილ მოკრივეებს).

მეორე თავში სამოქალაქო სასწავლებლის მოკრივეთა მრავალრიცხოვანი ნაკრები გამწკრივდა. ამ უკანასკნელი მეთაურობდნენ სასწავლებლის უფროსი კლასის სუეკეთესო მოკრივენი ამაშუყელი და ლოლაძე.

სამრიგად დაწყო სოსომ თავისიანები. აქ ყურადღებას იქცევს სოსოს გამჭრიახობა: პირველ წყებაში დააყენა პატარები, შიგდაშიგ დიდებიც ჩაურია.

ცოტა მანძილის დაშორებით უფრო ძლიერებს მიუჩინა ადგილი.

ზურგში, საკმაოდ მოშორებით კარგად გაწრთვნილი, მძლავრი ნაკრები დააყენა. თავად, როგორც ხელმძღვანელი, პირველი რიგის წინ დადგა.

კრივი დაიწყო. შეტორტმანდა საზოგადოება.

ირგვლივ გამამხნევებელი შეძახილები გაისმა.

სამოქალაქოელები ადგილიდან ერთბაშად მოსწყდნენ და ჩვენი მოკრივეების პირველი რიგის ხახს ეკვეთნენ. გაჩაღდა „ბრძოლა“. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ პირველი ჩვენი წყება დამარცხდა.

სოსომ უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლა.

ჯერი მეორე წყებაზე მიდგა. სოსომ აქ გაათკეცებული ენერგია გამოიჩინა, ნაკრების ხან ერთ თავში იყო და ხან მეორეში; ამხნევებდა და გულში გამარჯვების რწმენას უნერგავდა თანამებრძოლებს, თითონ ხომ ლომივით იბრძოდა.

დაბალული მდგომარეობა შეიქმნა; უპირატესობის სასწორი ხან ერთ მხარეზე იხრებოდა, ხან მეორეზე.

კარგა ხნის შემდეგ ჩვენი მეორე წყებაც დამარცხდა. რიგში მესამე წყება ჩადგა.

იშვიათი სანახავი იყო პატარა სოსო. ცეცხლივით აენთო. თავის მძლავრ, გულად და გაწრთნილ მოკრიველთა უკანასკნელი შემადგენლობით ყიჟინით შეიჭრა მოწინააღმდეგის რიგებში და 2-3 წუთის შემდეგ გაჰფანტა და უკუაქცია იგი.

მაყურებელთა ერთბაშად მოწყვეტილი „ურა“-ს და „ვაშა“-ს ქუხილი ქალაქის ზღვიდეებს გასცილდა და ციხის ბორაკის კალთების გამოძახილებში შთაინთქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი მ. დაუშვილისა

ზამთარი

გამარჯობათ მინდვრებო!
გამარჯობათ ველებო!
გამარჯობათ ქედებო!
ჩემთვის სასურველებო!

თეთრი ჭურჭი ჩაიცვით,
ჩაბუტბუტდით თბილადა,
ყინულები დაიხვით
საკინძედ და ღილადა.

ზამთარი ვარ, მოვედი
ჩემი სიჯანსაღითა;
ზამთარი ვარ მდიდარი
თოვლის მოსავალითა.

თოვლის ფუნჯო მჭირდებ-
ახლა სხვაზე მეტადა,
მალე უნდა შეეღებო
არემარე თეთრადა.

გაიშალეთ, იცელქეთ
თოვლის თეთრო პეპლებო,
გაიქროლეთ იქითკენ,
საითკენაც გენებოთ.

ქარო, მთიდან ბარისკენ
ჩაიქროლე მძლავრადა.
ყინვავ, რუს შემოეკარ
წელზე ვერცხლის ქამრადა.

ზამთარი ვარ ჯანსაღი,
ზამთარი ვარ ძლიერი,
არემაოეს დაედო
უკვე ჩემი იერი.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲥᲣᲩᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ

რა წყნარად თოვს, რა ჩუმად თოვ
ცა პეპლების ზეიმს მართავს;
ჩვენს კარგ ზამთარს გაუმარჯოს,
მშვიდობის და შვების ზამთარ.

არემარე გადიპენტა,
ალბათ დიდი თოვლი ქოფა.
მიწამ სამანსასთუმალი
დღეს ძილისთვის მოითხოვა.

პეპლებივით ვიჯერთ ფიფქებს,
ვთოვლაობთ და მკლავზე ვიწაფავთ.
ბარხილებს და თხილამურებს
დასდგომიათ დრო და ჯაფა.

მზიარულობს სკოლის ეზო,
წყნარად გაეღას არვინ მაცლის.
ჩვენს ზეიმს და აღტაცებას
ინაწილებს თოვლის კაცი.

უკვე ზარიც დაირეკა,
შეწყდა ბავშვთა ჟრიამული.
ეჯდები მერხზე, მაგრამ შინაც
არ მშვიდდება მკერდში გული.

გარეთ კი თრვს, კვლავ ჩუმად თოვ,
ცა პეპლების ზეიმს მართავს;
ჩვენს კარგ ზამთარს გაუმარჯოს,
მშვიდობის და შვების ზამთარს!

ᲐᲠᲜᲝ ᲝᲜᲔᲚᲘ

ლევრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ვ. ზელდოვიჩისა

ტუშატი

მაღალი მთები თოვლით იყო დაფარული, ხოლო ხევებში სიპი ყინულები ზოდებივით ეწყო. მთის ფერდობებს სოფლისკენ მიმავალი გზატკეცილი მისდევდა. ამ გზაზე გუშაგად იდგა წითელარმიელი ტყებუჩავა. გუშაგი დინჯად დადიოდა, გულ-

დასმით უცქეროდა თოვლიანი მთების ფერდობებს, ხევსა და დაკლაკნილ გზატკეცილს. მოულოდნელად ვიღაც თეთრხალათიანი გამოჩნდა, უცებ სადღაც მიიმალა. გუშაგმა შაშხანა მოიმარჯვა, მისკენ წავიდა, უნდოდა თეთრხალათიანის დანახვა, მაგრამ იგი ალარ სჩანდა.

— ნუთუ თვალმა მომატყუა? შეუძლებელია, — წაიჩურჩულა გუშაგმა.

მან ისევ განაგრძო სვლა, და ნაპრალში შეკრუნჩხული უცნობი გამოჩნდა.

— ხელები მაღლა! — გუშაგმა მკაცრად უბრძანა და თოფიც დაუმიზნა.

უცნობს არ უნდოდა შიშის გამომჟღავნება, ხელები ნელა ასწია, თან იღიმებოდა:

— ძვირფასო, ნუ ჩქარობ, ფული არ გინდა? — ისე ელაპარაკებოდა თითქოს გუშაგის დასაჯილდოებლად იყო მოსული, — მე შემიძლია თქვენთვის ბევრი ფულის მოცემა... კაცი გახდები...

გუშაგმა ზიზღით გაიღიმა.

— მე უკვე ჩემს ადამიანობას ვიცავ და შენ მომავლისათვის მპირდები კაცად გახდომას?!

უცნობმა კვლავ განაგრძო:

— ბევრ ფულს მოგცემ,—უკვე ხვეწნით ეუბნებოდა, — ლამაზ ცოლს შეირთავ.

— ჰმ, შე საწყალო, შიში რამდენ რამეს გალაპარაკებს. ჩვენებური ქალები ფულსა და კაცს კარგად არჩევენ ერთმანეთისაგან. მე აქ გუშაგად, ამ ყინულში იმიტომ ვდგავარ, რომ ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სამშობლო დავიცვა შენგან, შენისთანა არამზადებისაგან. შენ ახლა უკვე გეშინია, წუწუნებ, თავს მაბრალებ, თითქოს არც ერთი ცოდვა არ ჩაგიდენია, ეითომ ძალიან გაინტერესებს ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესება.

გუშაგი ზიზღით უცქერდა მას.

—გამიშვი. აქ ხომ ჩვენ ორნი ვართ, ვერავინ გაიგებს. მთები ხომ არავის ეტყვიან რასმე?

— განა მთები რომ არაფერს იტყვიან, ამიტომ უნდა გაეყიდო სამშობლო?! სამშობლო ფულზე არ იყიდება. იარე წინ! — გუშაგმა მკაცრად უბრძანა და გერმანელი ჭტაბისაკენ წაიყვანა.

J. გოგიაშვილი

კარგი ბიჭი

ჩვენს ეზოში დიდი სიხარული იყო, როცა წითელ არმიაში მყოფი ანდროს წერილი მოვიდა. ოთხი წელი იყო, რაც მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამ წერილით კი იტყობინებოდა: მალე ჩამოვალ, მელოდეთ ყოველდღეო. ანდროს დედა ირინე, ანდროსთან უმცროს ძმასავით შეზრდილ, კარის მეზობელ გოგისთან ერთად ყოველდღიურად დადიოდა სადგურზე, მაგრამ ანდრო არ სჩანდა...



ერთ საღამოს, გოგი თავის სახლის წინ იდგა. ქუჩაში მომავალი ორი სამხედრო შეამჩნია, ისინი მიუახლოვდნენ მას და შეჩერდნენ.

— რა ნომერია ბიჭიკო ეს სახლი? — ჰკითხა გოგის ერთმა მათგანმა, რომელიც მეორეს წინ მიუძღოდა.

— ოცი ნომერი, — მიუგო გოგიმ.

გოგის ხმის გაგონებაზე მეორე სამხედრომ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა წინ.

— თქვენ ვის ეძებთ? — ახლა გოგი შეეკითხა მათ.

— შენ გოგი ხომ არა ხარ?

— ძია ანდრო, — წამოიძახა გოგიმ და უსინათლო სამხედროს გადაეხვია.

— აქეთ მობრძანდით, — აქეთ, — იძახდა გოგი და ნანატრ სტუმრებს სახლისაკენ ეპატიჟებოდა. გოგიმ შეამჩნია, რომ ანდროს მხედველობა დაეკარგნა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უკითხავს მისთვის.

თანახმად მათი გეგმისა ოთახში მხოლოდ ორნი შევიდნენ.

— იცნობდეთ, დედა ირინე, ანდროს ამხანაგია, — უთხრა გოგიმ ანდროს დედას და სამხედრო პირი წარუდგინა.

— ანდრო სად არის? — მოუთმენლად იკითხა ირინემ და უცნობს ხელი გაუწოდა.

— მალე ჩამოვა.

— ხომ კარგად არის?

— კარგად გახლავთ.

— მხოლოდ დეიდა... იცით... ანდრო თურმე ცალი თვალით ვეღარ ხედავს, — მორიდებულად სთქვა გოგიმ.

— დედა ენაცვალოს, მერე რა ვუყოთ, ოღონდ ცოცხალი დავინახო და...

— მხოლოდ მეტი დაღლილობისაგან ამჟამად ვერც მეორე თვალით ხედავს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, დროებითია, — ნიადაგის ფრთხილი მოსინჯვით დაუმატა სტუმარმა.

— მოგიკვდეს დედა... სულ ვეღარ ხედავს? მაგრამ რას ვკითხულობ... ოღონდ ჩემი ბიჭი მაჩვენა, რომ მოვესიყვარულო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა გრძნობაჩუყებული ირინე.

კარებთან მდგომ ანდროს ყველაფერი ესმოდა, დედის სიტყვებზე მასაც გული აუჩუყდა.

გოგი მშწრაფლ გარეთ გამოვარდა, ანდროს ხელი მოჰკიდა და ოთახში შეიყვანა.

— დედა!..

— შვილო!.. — გაისმა ოთახში და დედამ ექვსი წლის უნახავი შვილი გულში ჩაიკრა.

— როგორა ხარ, შვილო, ჩემო სიხარულო, გენაცვალოს დედა, — იძახდა თვალცრემლიანი ირინე და მხურვალედ უკოცნიდა შვილს უსინათლო თვალებს.

გოგის ქუთუთოებს ცრემლი ჩამოეკიდა.

— მარო სად არის? — იკითხა მეუღლე ანდრომ.

— სოფელშია შვილო...

— ჩემი ბიჭი?

— ბიჭიც იქ არის, დედასთან, ისეთია რომ ავ თვალს არ ენახვება...

ექვსი წლის გახდება ორ კვირაში...

— ექვსი წლის... მე კი ის ჯერ არ მინახავს, და ალბათ ვერც ვნახავ, — გულმოკლულად ჩაილაპარაკა ანდრომ.

— ნახავ, ძია ანდრო, ნახავ, — იმედიანად წამოიძახა გოგიმ და ანდროს მკერდზე დაკიდებულ ორდენებს ხელი შეავლო...

— აბა დედაჩემო! თუ რამე გაქვს შენ იცი, ჩემს ამხანაგს... ამხანაგს კი არა ძმას, ძმაზე უფრო უსაყვარლესს რითაც შეგიძლია პატივი ეცი.

— დედა გენაცვალოთ, თქვენზე უკეთესი ვინ მომივა, — და მოხუცებული ირინე ჯარასავით დატრიალდა.

— გამარჯობა ანდრო!..

— ანდროს სიცოცხლე! — ერთიმეორეს სცვლიდნენ სანახავად მოსული მეზობლები, რომლებიც თვალცრემლიანი ბრუნდებოდნენ უკან.

იმ ღამეს დიდხანს ისმოდა ირინეს ბინიდან სევდიანი მრავალეამიერი...

* * *

მეორე დღესვე აცნობეს სოფელში მაროს ანდროს ამბავი, მაგრამ მაროს რატომღაც ცოტა შეუგვიანდა ჩამოსვლა.

თავისუფალ დროს არც ერთი წუთით არ სცილდებოდა ანდროს გოგი. გაკვეთილების დამზადებისა და საღილობისთანავე ანდროსთან შეირბენდა. გაზეთს წაუკითხავდა, ასადილებდა და საღამოხანს მიჰყავდა იგი თვალის სამკურნალო ინსტიტუტში. თავის მხრივ ანდროც ეხმარებოდა გოგის გაკვეთილების დამზადებაში, მოუთხრობდა საბრძოლო ეპიზოდებს.

აი, ერთხელ შებინდებისას, ანდროს წინ მიუძღოდა გოგი და თან იმედიანად ესაუბრებოდა:

— ექიმმა სთქვა, ექიმმა კი არა პროფესორმა სთქვა, რომ სულ მალე დაუბრუნდებო მხედველობა, ხოლო ამისათვის პატარა ოპერაცია არისო საჭირო, ახლა უკვე შეიძლებაო ყუმბარის ნამსხვრევის გამოღება.

გოგის ლაპარაკზე ანდროს, სახეზე ღიმილმა გადაჰკრა.

— კარგი ბიჭი ხარ გოგი, — უპასუხა ანდრომ და ნაბიჯს თითქოს უფრო ხალისიანად ადგამდა.

* * *

ოპერაციის მეორე დღეს ანდრო საავადმყოფოს ერთ-ერთ განზრახ ჩაბნელებულ ოთახში იწვა, მას თვალები ჰქონდა ახვეული. ოთახის კარები ფრთხილად შეაღო გოგიმ, მას ხელში პალტოშემოხვეული რაღაც ეჭირა.

— ვინ არის? — გამოეხმაურა ანდრო.

— მე ვარ ძია ანდრო!..

— შენა ხარ გოგი?

— მე ვარ... ძია ანდრო... მინდა პირველად მე გაჩვენოთ თქვენი შვილიკო, რომლის დანახვას თქვენ ყველაზე მეტად ოცნებობდით და გოგიმ მას ლამაზი ბიჭუნა შეუგორა ლოგინში.

ანდრომ თვალიდან ბინტი მოიხსნა.

— ჩემო ბიჭიკო, მე მას ვხედავ, მე ვხედავ საკუთარ შვილს, — ეს სიტყვები ანდრომ ისე ხმამაღლა წამოიძახა, რომ მორიგე ექიმი და მოწყალების და ანდროს ოთახში გაჩნდნენ.

— თვალებზე დაიფარეთ ამხანაგო ანდრო, — მიმართა ექიმმა.

— მამა, მამიკო, — იძახდა აღტაცებული ბიჭუნა და გულში ეკვროდა უცნობ მამაკოს.

— შენ კარგი ბიჭი ხარ გოგი, კარგი ბიჭი, — იძახდა ანდრო და თავის საყვარელ ბიჭიკოს ლოყებს და ქოჩორს უკოცნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ვ. ბილანიანისა

როსინი და მოხეტიალე მუსიკოსი

(გადმოკითხული იტალიურიდან)

სახელგანთქმული იტალიელი კომპოზიტორი როსინი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სტუმრად იყო. ერთი მოხეტიალე მუსიკოსი შემთხვევით შეჩერდა იმ სახლის წინ, რომელშიც როსინი ცხოვრობდა. როსინი გაღებულ ფანჯარასთან იდგა და მაღლიდან გადმოსცქეროდა ქუჩაში მოსიარულე ხალხს. მოხეტიალე მუსიკოსმა მომართა ვიოლინო და დაიწყო დაკვრა. უკრავდა ერთ-ერთ ცნობილ იტალიურ კანცონეტას.*)

უცებ ვიღაცამ ზევიდან გადმოსძახა: „უფრო ჩქარა, უფრო ჩქარა“.

— როგორ ბატონო, როგორ? — შეეკითხა მუსიკოსი უცნობს.

— დაუკარი უფრო ჩქარი ტემპით და უფრო მხიარულად, — უთხრა როსინიმ.

—კი, ჩემო ბატონო, მაგრამ მე სხვანაირად რომ არ ვიცი?

— მაშ კარგი, — სთქვა როსინიმ და გამოვიდა ქუჩაზე. იგი ღიმილით მიუახლოვდა მოხეტიალე მუსიკოსს და უთხრა: „შეიძლება ავიღო თქვენი ვიოლინო?“ — ინებეთ ბატონო, — უთხრა მუსიკოსმა და თან ვიოლინო მიაწოდა. როსინიმ ჯერ მოლიანად დაუკრა კანცონეტა და შემდეგ კი გაურბია ის ადგილები, სადაც მოხეტიალე მუსიკოსი ტემპს ანელებდა. გასაგებია? დიახ, ჩემო ბატონო, მართლაც რა მშვენიერი მუსიკა ყოფილა და მე თურმე როგორ ვამახინჯებდი.

გავიდა რამდენიმე დღე. მაისის წყნარი და მშვენიერი საღამო იყო. მოხეტიალე მუსიკოსი ისევ გამოჩნდა როსინის საცხოვრებელი სახლის პირდაპირ. ახლა იგი განსაკუთრებული ოსტატობით უკრავდა ნაჩვევ კანცონეტას. ეტყობოდა ბევრი ევარჯიშნა. როსინის შემოესმა ვიოლინოს ხმა. გადმოიხედა. ნაცნობი მოხეტიალე უკრავდა. ნასიამოვნებმა და გახარებულმა როსინიმ ხმამაღლა გადმოსძახა ზემოდან: „ბრავო, ბრავო, ბრავისიმო“*) და თან ოქროს ფული დავარდა მუსიკოსის ფეხებთან. ამას მოჰყვა სხვა საჩუქრებიც გამვლელებისაგან. წარმატებით გახალისებული და აღტაცებული მუსიკოსი თან ფულს ჰკრეფდა და თან გა-

*) მოკლე სიმღერა.

*) მშვენიერია, საუკეთესო.

„ძალიან“ „ბრავო ფიგარო, ბრავო, ბრავისიმო“. ერთი გამვლელი შეეკითხა მოხეტიალეს: „იცით ეს სიტყვები, რომელი ოპერიდან არის?“ ვიცი, „სევილიელი დალაქიდან“. ვისი ოპერაა ეს? — როსინის. ვინ იყო ის კაცი, თქვენ რომ შეგაქოთ და დაგასაჩუქრათ? არ ვიცი! ეს როსინია—ეპასუხა გამვლელმა. როსინი? კომპოზიტორი! ამ ფულს მე სახსოვრად შევინახავ. — ამბობდა განცვიფრებული მოხეტიალე. ამის შემდეგ ეს მოხეტიალე მუსიკოსი მთელს პარიზში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ეფელიან გიორგაძე

იოსებ გრიშაშვილი

ნახატები მ. დაუშვილისა

დანის მოყვარული ბურიკა

ცომის გუნდას ჩამოჰგავს,
ერთი ციცქნა ბალღია,
მაგრამ ცოტა ჯიუტი,
თავნება და თვალღია.

ამბობს: „ნეტა მეომარს
როდის დავემგვანები,
რომ მეც ტანზე ავისხა
ხანჯლები და დანები!“

და თუ დანა იხელთა —
დიდხანს არ აგვიანებს
ჩხირს იპოვის, ან ნაფოტს
სთლის და ანაგვიანებს.

ვეუბნები: „ეგ დანა
პირბასრი და მკრელია,
აჰა, შვილო, ნამცხვარი,
ეგ რა დასაჭერია!“

მაგრამ ჯანა გამიგებს?
უჯიათი, კერპია,
აი, ეხლაც მობობღავს,
ფიჩხი აუკრეფია...

როცა დანას ვუმალავ —
ხელად მოეწყინება,
თუ იპოვის — სახეზე
სხივი მოეფინება.

მე ამნაირ ბალღისა
სულ არა ვარ მნახველი!
ვყვირი: „დანა უჭირავს“.
ვყვირი: „საით წახველი!“

დღესაც ფარდას ეძგერა,
ბაუსვა და გახია,
მაგრამ ხელიც გაიჭრა,
არ შევუხვევ... ახია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ნახატები მ. ფიფიშვილისა

კაკანათი

I.

არც თხილი და არც კაკლები,
არც მეტი და არც ნაკლები...
გააკვირვებ ტოლებს, სწორებს,
ისე კოხტად, ნაზად გავთლი...
სამად-სამი ჩურჩხელაა
ფასი ჩემი კაკანათის!..

— ცანგალ, ჩემო ძმავ და ყველავ...
აქ კირკიტამ ჩაახველა,
იცი ძლიერ წადილი მაქვს,
მაგრამ განა აღვილია?..
კარგად იცი რომ ჩურჩხელებს
მშვიდად სძინავთ ღღე-ცისმარე
და ახალწლის მოლოცვამდე
ვერვინ გახსნის ბეღლის კარებს.
...აი გუშინ, სკოლიდან რომ
მოვაფრინე ფრიადები,
გააბრწყინა ბებომ ვახშმად
ნამცხვრები და ხმიადები.
შემდეგ გახსნა ბეღლის კარი...
შუბლზე მიძღვნა ორი კოცნა,
მიქო სწავლა, ქცევაც მიქო
და ჩურჩხლებიც მომილოცა.
...ცანგალ, განა ობიანი,
ან გამტყდარი — შელახული...
ორი არის, მაგრამ თაფლა
და შენთვის მაქვს შენახული.
იმყოფინე შრომის ბადლად —
შეუდექი ბარემ გათლას!..

დაჰყაბულდა ცანგალ-ბიჭი,
კირკიტა კი სახლში მიჰქრის,
გზად შესდგება გულის ძგერით
და ყურს უგდებს წალდის ტიკტიკს.
...გადილია ცდით და დარდით
ცანგალასთან ერთად წალდი.
ვაჰ, თუ ბებომ გაკვეთილის
დასასწავლად წიგნთან დასვა...
ან თუ გზაში სულმა სძლია
და რიგრიგად გადასხსლა...
მოიღალნენ ცდით და დარდით,
სდუმს ცანგალა, და სდუმს წალდიც.
მაგრამ ჰოი, ვაშა ცანგალ,
წალდს ტიკტიკი მოსწყდა ისევ
და ძმაკაცი სანუკვარი
მოჰქრის თავის ოსტატისკენ.
— ჯერ ქერქიც არ გაგიცლია
რაღა მუხის კუნძს შეები?!
— შენ რას დარდობ ჩემო კირკიტ, —
მოიტანე ჩურჩხელებიან?!

მაგრამ მუშტარს ოსტატისგან
კარგად ახსოვს შარშანდელი,
განზე გადგა, რომ ჩურჩხელებს
აარიდოს განსაცდელი.
ორთავ ჯიბით თაფლისფერმა
ორმა კუდმა ამოწვერა,
ალლავ ჩაყვინთა და ცანგალას
გულს ტკბილად აუძგერა.
ჰოი კირკიტ, ნუ მაწამებ!
ხედავ, ნდომით აკკანკალდი?!
რა ხანია მზად მაქვს უქვე
შენთვის იფნის კაკანათი...
აი ასე, ძმაო ცანგალ, —
ხელი ხელში ჩაობილი!..
დგას კირკიტა მადლიერი
და ოსტატიც კმაყოფილი.

II.

ზამთარია ბელურებო.
ოდებს თოვლი ეხურებათ,
გეყურებათ ღაბუებო,
ლამაზებო, — გეყურებათ!?
არ გეგონოთ ვინმე ფლიდი,
ჰა, კალოზე გადმოფრინდით!
სახლში წავალთ და ტკბილ ბუხარს
ვაღუღუნებთ „ინდი-მინდის“...
ეუბვად გაკმევთ პურს და საკენკს,
მოგიყვებით ფერად ზღაპრებს,
მერე ჰერი სკოლისაკენ,
და კვლავ თოვლში გამოგაფრენთ...

მისდევს კირკიტ და მამალიც
გარბის ფეხზე კაკანათით...

მაგრამ ჩიტებს არა სჯერათ
კირკიტ-ბიჭის დაპირების
და ღობიდან დასცქერიან

ბოლოდან ედელშვილის მოთხრობის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაყრილ საკენკს გაკვირვებით.
აჰა, ერთი ჩამოფრინდა...
და კირკიტა სამძელიდან
უთვალთვალებს ყელლაბუებს
გულის ფრთოლვით და ძგერით.
მაგრამ ჰოი, განსაცდელო,
ყვავილით და ბალაყითა
საიდანღაც კაკანათთან
გაჩნდა უცებ მამლაყინწა.
ჯერ საკენკი გადაქეცა,
შემდეგ მიწა გადაქექა,
გაჰკრა ფეხი, — გაზდა წკაპი
და ხაფანგთან ერთად გარბის.
შეფრთხიალდნენ ჩიტუნები
და ქათმებიც — კაკანითა.
მისდევს კირკიტ და მამალიც
გარბის ფეხზე კაკანათთ...
გადეფრინდა ათას ლობეს
და ლედლები ამაყობენ...
ჯუჯუ, ჯუჯუ, წია, წია,
უხმობს საბწყესს ბებო მწყრალი,
აღარსად სჩანს მამლაყინწა,
ქა, დამიდგეს ორთავ თვალი!..
გული უცემს კირკიტა — ბიჭს,
ბებოს ცეცხლი ეკიდება,
მამალი კი კაკანათთ
ფიჩხში უცდის შებინდებას.

III.

შემოღამდა, ფანტელებმა
კვლავ ოცნება გააბრწყინეს.
სძინავს ბუხარს, სძინავს ბებოს,
კირკიტას რა დაეძინებს...
ისმის თოვლის ბარდნა ტკბილი,
სძინავს ბებოს კურდღლის ძილით.
ამ ბოლო დროს ჩვენს ბებიკოს
წუწკი მელა არ ასვენებს,
დღეს მამალიც გაიტაცა...
ბებო ძილშიც სწყევლის მელებს.

...შუადამისას თოვდა ისევ, —
ბებო სთვლემდა კურდღლის ძილით,
როს მოისმა საკუთმიდან
შეცხადება კრუხ-წიწილის.
ალბათ მელამ გაამწარა, —
აკრიახდა ფრთანაცარა
და განგაშის მაუწყებლად
ცუგრიასიც ატყდა ყეფა...
...ადე კირკიტ!.. ყვირის ბებო:
— მელავ, ვეღარ გადარჩები!
მსწრაფლ მიეჭრა საქათმესთან
მოიმარჯვა ყავარჯენი,
ერთი, ორი... ესეც ვერაგს!
შენ მომისპე კრუხ-წიწილი,
შენგან არ მაქვს მოსვენება,
შენგან მძინავს კურდღლის ძილით!..
მაგრამ ჰოი, საოცრებავ!

— ბებო, ჭრაქი დამანათე,
კირკიტა ვარ, — არ ვარ მელა,
კაკანათი... კაკანათი...
საქათმეში ამოსვრილი,
იდგა ბიჭი დაოსილი,
თავს ბებია დასცქეროდა
და ცუგრიაც — გაოცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავ-არაკები

დათვმა თაფლის გემო გაიგო. ძალიან მოეწონა და ეგემრიელა. სთქვა: ამაზე უკეთეს საჭმელს სხვას რაღას ვიშოვიო. ტყეში დაეუნცულებდა და თან ათვალიერებდა ფუტკრის ბინას. ერთ დღეს ფუტკრის დიდ ოჯახს მიაგნო, ფუღუერო ხეში. აცოცდა მაღლა. გადაჯდა ტოტზე. ჩაჭყო თათი, ფიქიანი თაფლი ამოიღო და შესანსლა. გულში ამბობდა: „ფუტკრები რა კარგი ბუზები ყოფილან, რომ ჩემთვის ამდენი თაფლი დაუმზადებიათო“.

კიდევ ჩაჭყო თათი და ამოიღო.

ფუტკრებმა გაიგეს, რომ ვიღაც ბანჯგვლიანი ნადირი ჰქურდავდათ. ბზუილით გამოცვივდნენ და დაესივნენ. ერთი ცხვირში ჰკბენდა, მეორე ყურში, მესამე თათში. გამწარდა დათვი. ხან მაღლა ხეზი აცოცდა, ხან დაბლა დაეშვა, ხან მეორე ტოტზე გადაჯდა, მაგრამ ფუტკრები ქურდს არ ასვენებდნენ.

გაბრაზდა დათვი და თათების ქნევას მოუმატა, ეგონა ფუტკარს შეევაშინებ და მოვიგერიებო, მაგრამ უფრო მატი ეხვეოდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო, მაღლიდან ძირს ჩამოვარდა და კისერი მოიტეხა.

ამაზეა ნათქვამი: რაც არ მერგება, არ შემერგებაო!

სანდრო შანშიაშვილი

მელიას ნუგეში

მელია გაბაწრეს და გასასყიდად ქალაქს ჩამოიყვანეს. ტყვე მელაკუდა თავლების ცეცებით შეჰყურებდა გარშემოხვეულ ხალხს. უეცრად ქალი შეამჩნია, რომელსაც მხრებზე მელიის ტყავი ეფინა. გასასყიდად მიყვანილი მელია მიხვდა, რომ მასაც ასეთი ბოლო მოელოდა, მაგრამ თავი მაინც ინუგეშა.

— რა არის, ეს ოხერი ჩვენი ჯიში, ... მიანმა ისეთი ლონიერი ცხოველიც კი. გორიც ცხენია, დაიმორჩილა, ზურგზე ... ადგა და როგორც უნდა ისე იმსახურებს. ჩვენ კი, მელიები, ისეთი მოხერხებულები ვართ, რომ ადამიანებს თვითონ მოვაჯექით ზურგზე!

გიორგი ივანიშვილი

ფრინველებმა კრება გამართეს — უნდოდათ გამოერკვიათ, ვინ რა ხელობას მისდევდა, რას აკეთებდა. ზოგმა ესა სთქვა, ზოგმა ის. ჯერი კოდალაზე მიდგა.

— ჩემი საქმიანობა ყველას კარგად მოგეხსენებათ, მთელი დღე ვაკაკუნებ, მოსვენება არა მაქვს! — განაცხადა ხეკაკუნამ.

— კაკუნით ბევრს აკაკუნებ, უთხრა ჩხიკვმა, მაგრამ შენი აშენებული სახლები არავის უნახავსო.

პარმენ ჯანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის დედაქალაქი

მ ო ს კ ო ვ ი

მოსკოვი!

ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ეს უძველესი სახელი პირველად ხსენებულ იქნა მატიანეში 1147 წელს, როგორც სუზდალის მთავარ იური ვლადიმერის-ძე დოლგორუკის მამული. ერთ-ერთი გამოჩენილი შემდეგ იგი სწერდა თავის მოკავშირესა და მეგობარს მთავარ სვიატოსლავ ნოვგოროდ-სევერსკის: „მოდი ჩემთან, ძმაო, მოსკოვს“.

მოსკოვი—ციხე-სიმაგრე

დოლგორუკის მამული — მოსკოვი ძველად მდებარეობდა იმ გორაკზე, სადაც ახლა კრემლია. მტრისაგან დასაცავად მას შემოავლეს ხის კედელი და მოსკოვი—დაბა გახდა მოსკოვი—ციხე-სიმაგრე, რომელთანაც ერთმანეთს ჰკვეთდნენ რიაზანის, სუზდალისა და ნოვგოროდის გზები. ამგვარად, მოსკოვი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ეკონომიურ პუნქტს და უკვე მე-13 საუკუნის დამლევს დამოუკიდებელი სამთავროს (პირველი მთავარი იყო ალადიმერ ვსევოლოდის-ძე) დედაქალაქი გახდა.

მოსკოვი განსაკუთრებით გაძლიერდა XIV საუკუნეში მთავარ ივანეს დროს, რომელსაც „კალიტა“—ფულიანი ტომარი უწოდეს, რადგან ამ დროს რუსეთში იგი ყველაზე მდიდარი მთავარი იყო. ივანე კალიტამ დიდად გაიფართოვა მოსკოვის სამთავროს ფარგლები. სუზდალის მიწა-წყლის უდიდესი ქალაქი—ვლადიმირიც კი მოსკოვის სამფლობელოში შეეიდა.

ფართოვდებოდა, დიდდებოდა, ძლიერდებოდა მოსკოვი, მაგრამ მასზე ჯერ კიდევ ოქროს ურდო (მონღოლ-თათარნი) ბატონობდა და აი, ამ უღლისაგან გათავისუფლება განიზრახა ივანეს შვილიშვილმა მთავარმა დიმიტრიმ, შემდგომ დონსკოით წოდებულმა. მან შეაკრიბა 150 ათასამდე მეომარი და 1380 წელს კულიკოვოს ველზე (დდინარე დონთან) სასტიკად დაამარცხა მამაი-ყაენი. მოსკოვის დიდების ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს.

მოსკოვი—რუსეთის დედაქალაქი

მთავარ ივანე მესამეს დროს მოსკოვი გახდა დედაქალაქი რუსეთის ვეებერთელა სახელმწიფოსი, რომელიც გადაჭიმული იყო პერმიდან დიდ ნოვგოროდამდე. 1480 წელს მოსკოვმა საბოლოოდ გაითავისუფლა თავი მონღოლ-თათართა ბატონობისაგან, რომელიც თითქმის ორნახევარი საუკუნე გრძელდებოდა.

ივანემ გააშენებინა მოსკოვი. იტალიიდან გამოიწერა ხუროთმოძღვრები, ტექნიკოსები, ხელოსნები. ააშენეს შესანიშნავი ტაძრები, სასახლეები, საცხოვრებელი სახლები... კრემლს შემოავლეს თეთრი ქვის კედელი.

მოსკოვში სახლდებიან მემამულე-ბოიარები, ვაჭრები, ხელოსნები და მდაბიო ხალხი. ამ ახლად დასახლებული რაიონებისა და სავაჭროთა მტრისაგან დასაცავად შენდება სიმაგრეთა მეორე ზოლი—ეგრეთწოდებული კიტაგოროდის კედლები.

მეფე ივანე IV მრისხანის დროს, მიუხედავად შინაური არეულობისა (მეფის ულმობელი ბრძოლა მოღალატე ბოიარებთან) მოსკოვი მაინც წინსვლას განიცდიდა: მას სავაჭრო კავშირი აქვს ინგლისთან, ლონდონიდან მოპყავს ექიმები, მადნეულის მცოდნენი, ხელოსნები; 1564 წლის

მარტში აქ გამოვიდა პირველი რუსული ნაბეჭდი წიგნი; წითელ მოედანზე, ყაზანზე გაძარცვების ალსანიშნავად, აგებულ იქნა ვასილ ნეტრარის ტაძარი...

იგივე IV შესცვალა ბორის გოდუნოვმა, გოდუნოვი ვასილ შუისკიმ. მთელი ეს პერიოდი მოსკოვის ცხოვრებაში ორის ორეულობის, სისწლიღვრისა და ნგრევის წლები.

1612 წელს მინინისა და პოჟარსკის მეთაურობით რუსმა ხალხმა მოსკოვი გაათავისუფლა პოლონელ დამპყრობთაგან და ტახტზე დასვა მიხეილ რომანოვი.

დანგრეული მოსკოვი კვლავ აღორძინების გზაზე დგება. მეფე და ბოიარები ყოფა-ცხოვრებაში უცხოეთს ჰბაძავენ — ფუფუნებით ცხოვრობენ. ინგლისელმა ჰალოვეიმ კრემლის მაცხოვრის კოშკზე დადგა უზარმაზარი საათი და გაიყვანა მოსკოვის პირველი წყალსადენი; გაიხსნა თეატრი, მეფის სასახლეში უკრავს ორკესტრი... ყველაფერი ეს დიდ სახსრებს მოითხოვს და როგორც მეფე, ისე ბოიარები სასტიკად ჰყელეფენ ხალხს. 1648 წელს ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და მოსკოვში ოჯანყებამ იფეთქა. იწვის ციცხლის ალში გახვეული მოსკოვი...

მოსკოვი პეტრე I-ის დროს

მოსკოვის წინსვლასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პეტრე პირველს, დიდ მეფედ წოდებულს. საზღვარგარეთ ნამყოფი ახალგაზრდა მეფე ღრმოზმული ადათ-ჩვეულების მიმდევარს, გრძელწვერა და ბეწვიან ქურქებში დაობებულ ბოიარებს აიძულებს გაიპარსონ წვერი და ტანთ ჩაიცვან ევროპიელ ყაიდაზე; აშენებს სკოლებსა და გიმნაზიებს, ბეჭდავს სხვადასხვა სახელმძღვანელოებს, უშვებს პირველ რუსულ გაზეთს, ხელს უწყობს საფაბრიკო მრეწველობას; მეფის ბრძანებით მთავარ ქუჩებზე შენდება მხოლოდ ქვის სახლები, იკრძალება ქუჩები.

1713 წელ პეტრე დიდი გადადის ახალ დედაქალაქში—ძველ მიერ აშენებულ ქალაქ სანქტ-პეტერბურგში.

დედაქალაქის სანქტ-პეტერბურგში გადატანის შემდეგ მოსკოვი იწყებს მოდუნებულ ცხოვრებას. აქ თავმოყრილი არიან სამსახურიდან გასული დიდებულები, ზამთრის გასატარებლად ჩამოდიან მდიდარი მემამულეები.

მოსკოვის კულტურული წინსვლა

1755 წელს მოსკოვის კულტურულ-ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტი — პირველი უმაღლესი სასწავლებელი რუსეთში.

თავადაზნაურობის ფუფუნებისა, ყმების, მუშების ტანჯვა-წამებისა და ხალხის სიღატაკის ამ ეპოქაში მოსკოვში მაინც იზრდებიან ნიჭიერი პოეტები, მწერლები, ხუროთმოძღვრები.

აი, ზოგიერთი მათგანი: ნ. ნ. ნოვიკოვი სახალხო განათლებისათვის იბრძვის და მეუფდაეს მრავალ სასარგებლო წიგნს. პოეტ ს. ძ. კარამზინთან ერთად იგი უშვებს „მოსკოვის ჟურნალს"—პირველ რუსულ ლიტერატურულ ჟურნალს. მოსკოვში იზრდებიან ცნობილი რუსი ხუროთმოძღვრები ვ. ბაჟენოვი და მ. კაზაკოვი. ბაჟენოვის მიერ დამროგეტებულ კრემლის სასახლეზე დიდი ხნის შემდეგ სპეციალისტები ამბობდნენ: ეს სასახლე, რომ აეშენებიათ, მსოფლიოში ულამაზესი შენობა იქნებოდაო. კაზაკოვის პროექტით კრემლში აშენდა სენატის თვალწარმტაცი შენობა, რომელიც შიგნით განსაკეთებულად მდიდრულად იყო მოპირკეთებული. ამ ხუროთმოძღვართა დაუღალავი შრომითა და დიდი ოსტატობით შექმნილია მთელი რიგი უშეანაშნავესი შენობები, რომლებითაც ახლაც ამაყობს მოსკოვი. მაგალითად, კავშირთა სახლი და მოსკოვის საბჭოს სახლი (პროექტების ავტორია კაზაკოვი).

მოსკოვი იმარჯვეებს ნაპოლეონზე

მოსკოვი უშფოთველად და უსაძეურად ატარებს ღროს. მის ცაზე კი მუქი ღრუბლები გროვდება. 1812 წლის ივნისში რუსეთში შემოიჭრა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტეს არმია. დაიწყო რუსი ხალხის დიდი სამამეულო ომი. მოსკოვის ახლოს, ბოროდინოსთან ბრძოლაში საფრანგეთის არმიამ უდიდესი ზარალი განიცადა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა მაინც ფრანგების მხარეზე იყო და სტრატეგიული მოსახრებით ფელდმარშალმა მ. ი. კუტუზოვმა მოსკოვი დასტოვა. ფრანგები შეეიდნენ ხანძარში გახვეულ ქალაქში. ისინი შიმშილით იხოცებიან, ამას თან ერთვის დამპყრობთა წინააღმდეგ რუსი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სასტიკად დამარცხებული ფრანგები უკუიქცევენ.

დაფერფლილი ქალაქი სწრაფად სწორდება წელში. იგი იზრდება, შშვენდება ახალი სახლებით, ქუჩებით, მოედნებით, საკაჭროებით, ბაზრებით...

მოსკოვის რევოლუციური ბრძოლა

1851 წელს მოსკოვი რკინიგზით დაუკავშირდა პეტერბურგს. იქ თანდათან ფართოვდება ვაჭრობა, შენდება ფაბრიკა-ქარხნები.

ვაჭრებისა და კაპიტალისტების მოსკოვში უძძიმეს პირობებში ცხოვრობენ მუშები, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რევოლუციონერები საგაბატაციო მუშაობას ეწევიან, ხშირია გაფიცვები.

დიდი ლენინის უშუალო გავლენით 1894 წელს მოსკოვში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური ორგანიზაცია—„მოსკოვის მუშათა კავშირი", რომელმაც თავის გარშემო ათასობით მუშა დარაზმა. 1905 წლის დეკემბერში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მოსკოველი მუშები იარაღით გამოვიდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ აჯანყების შესახებ ლენინი სწერდა: „მოსკოველი მუშების დაუვიწყარმა გმირობამ რუსეთის შრომელთა მასებს ბრძოლის მაგალითი მისცა".

რუსეთის პირველ რევოლუციაში დამარცხებული მოსკოველი მუშები წლების მანძილზე მტკიცედ ირაზმებოდნენ, ძალას იკრებდნენ, რათა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბრის დიდი ბრძოლების დღეებში, პეტროგრადის მუშებთან ერთად, სასიკვდილო ლაბავარი ჩაეცათ ცარიზმისათვის. ეს ბრძოლა მათი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და ისინი მოსკოვის ბატონ-პატრონი გახდნენ—კრემლზე ფრიალდა პროლეტარული რევოლუციის დიადი დროშა.

მოსკოვი—საბჭოთა ხალხის სამშობლოს სიმბოლო

1918 წლის 12 მარტს საბჭოთა მთავრობა ლენინის მეთაურობით პეტროგრადიდან მოსკოვს გადმოვიდა და მოსკოვი გახდა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დედაქალაქი.

მოსკოვი უნდა გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და კეთილმოწყობილი ქალაქი—აი, რა ამოცანა დაისახეს საბჭოთა ხელისუფლებამ და ბოლშევიკურმა პარტიამ. და ამ ამოცანის გადასაჭრელად, მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმა განახორციელებულად განზომილად დიდი მუშაობაა ჩატარებული და წინანდელი მოსკოვი—„დიდი სოფელი" გახდა უდიდესი სოციალისტური ქალაქი, რომელშიც უკვე 1939 წლის იანვრისათვის 4 მილიონ 137 ათასი მცხოვრები ითვლებოდა.



მოსკოვი. კრემლი

მოსკოვის 2.700 ქუჩის, შესახვევისა და ჩიხის ლაბირინთში გამონახული იქნა ახალი ფართო ქუჩებისა და პროსპექტების გეზი; აშენდა ათასობით საცხოვრებელი სახლი, სამეცნიერო, კულტურული და ადმინიტრაციული დაწესებულება, ფაბრიკა-ქარხნები; გარეუბნებში გაშენდა ახალი რაიონები, სკვერები, ბაღები...

მოსკოვი არის უდიდესი ინდუსტრიული ქალაქი, რომლის სიამაყეა ბურთულ-საკისრების ქარხანა, სტალინის სახელობის ავტოქარხანა („ზის"), ელექტრომოტორშენებლობის ქარხანა „დინამო", კუიბიშევის სახელობის ელექტრო კომბინატი, ხელსაწყოების ქარხნები „ფრეზერი" და „კალიბრი", რომლებიც უზუსტეს ხელსაწყოებს იძლევიან, ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიზის კომუნა", მიქიანის სახელობის ხორცკომბინატი, რომელიც სიდიდით მეორეა მსოფლიოში და მრავალი სხვა.

სტალინური ხუთწლედების უდიდეს მშენებლობას წარმოადგენენ სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიისა (ყველაზე გრძელი არხი მსოფლიოში) და მოსკოვ-ვოლგის არხები. მოსკოვის სიამაყეა ლ. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენი რომელიც უმეასანმშაგესია მოფლიოში.

მრქეფარე და მრავალფერეოვანი კულტურული საქმიანობით ცხოვრობს საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. აქ ასიათასობით მოსწავლე დადის სკოლაში, ათიათასობით სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში, 200-მდე სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში საბჭოთა მეცნიერები ახალ-ახალ აღმოჩენასა და გამოგონებაზე მუშაობენ; აქ არის მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრები: ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრი, გორკის სახელობის სამხატვრო თეატრი, მცირე თეატრი, ვახტანგოვის სახელობის თეატრი და სხვ. მოსკოვის 2.000 ბიბლიოთეკაში 12 მილიონამდე წიგნია დაცული. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია და მისი ფონდი 10 მილიონამდე ტომს შეიცავს. ხელოვნების საგანძურს წარმოადგენს ტრეტიაკოვის სამხატვრო გალერეა, სადაც თავმოყრილია დიდი რუსი მხატვრების 33 ათასი ნამუშევარი; რევოლუციის მუზეუმის ფართო დარბაზებში ასახულია დიდი რუსი ხალხის მთელი რევოლუციური წარსული, ხოლო ლენინის მუზეუმში მნახველი ეცნობა კაცობრიობის გენიის—დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ბავშვობიდან გარდაცვალებამდე.

სიხარულისა და ბედნიერების მრავალი დღე უნახავს მოსკოვის წითელ მოედანს. მუზარადითაა მრავალჯერ შეძრწუნებული მისი არეშარე, როცა მშრომელი ხალხი ემშვიდობებოდა და დასტიროდა დიდ ლენინს, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის თავდადებულ მებრძოლებს: ა. მ. გორკის, ს. მ. კიროვს, გ. კ. ორჯონიკიძეს, მ. ვ. ფრუნზეს, ფ. ე. ძერჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევს, ვ. პ. ჩკალოვს...

ეს ადგილი მსოფლიო პროლეტარიატისათვის, პროგრესული კაცობრიობისათვის წმიდათაწმიდა ადგილია—აქ, თავისი სისადავით დიად მავზოლეუმში, ინახება ლენინის ნეშტი.

მოსკოვი—გამარჯვების სიმბოლო

1941 წლის ივნისში ჩვენი სამშობლო უდიდესი განსაცდელის წინაშე დადგა—დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასთან. დროებითი წარმატებით თავბრუდასხმული ვერაგი მტერი ჩვენი ქვეყნის გულისაკენ—მოსკოვისაკენ მოიწევდა. წყდებოდა საბჭოთა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი. სისხლსამფრეელი ბრძოლები გაჩაღდა მოსკოვის მისადგომებთან. დიდი იყო საფრთხე. მიუხედავად ამისა 1941 წლის 7 ნოემბერს, როგორც ყოველთვის, წითელ მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი, მაგზოლეუმის ტრიბუნიდან სიტყვა წარმოსთქვა დიდმა სტალინმა. მან გზა დაულალა ბრძოლაში მომავალ პოლკებსა და დივიზიებს, მან საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენა ჩაუნერგა არმიას, ხალხს. პარადის მონაწილენი საზეიმო მარშიდან სალაშქრო მარშზე გადადიოდნენ; მოსკოვის გარეუბნებიდან გასულნი უკვე ბრძოლაში ებმებოდნენ და უმაგალითო თავგანწირვით იცავდნენ ღედაქალაქს. დიდი სტალინის სამხედრო გენიამ 1941 წლის დეკემბერში პირველი დამარცხება აგება გერმანელ ყაჩაღებს. ისინი განადგურებულ იქნენ მოსკოვთან და დაიწყო წითელი არმიის შეტევა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ჩვენი ქვეყანა.

მძიმე დღეები გადაიტანა მოსკოვმა, მაგრამ იგი იდგა, როგორც მთელი ცოტა-სიმაგრე და გაიმარჯვა.

მოსკოვი მუდამ იყო საბჭოთა ხალხის სამშობლოს სიმბოლო. ამიერიდან იგი გამარჯვების სიმბოლოც გახდა.

მთელი ქვეყანა სულგანაბული უსმენდა მოსკოვის რადიოს, რომელიც სტალინის ბრძანებათა გადმოსცემოთ გვაცნობდა ჩვენი ჯარების გამარჯვებებსა და წინსვლას.

1945 წლის 9 მაისსა და 2 სექტემბერს მოსკოვმა დიდად სასიხარულო ამბავი ამცნო საბჭოთა ხალხსა და ჩვენი ქვეყნის გულწრფელ მეგობრებს—დიდმა სტალინმა რადიოთი მოგვიღოცა ომის დამთავრება, ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი ისტორიული გამარჯვება.

მოსკოვის დიდების ვეირგვინი იყო წითელ მოედანზე გამართული გამარჯვების პარადი. დედაქალაქმა საშობლოს სახელით პატივი სცა წითელ არმიას, გმირობის მწვერვალზე ასულ მის ჯარისკაცებს, ოფიცრებს, გენერლებსა და მარშლებს, რომლებმაც უმძიმეს ბრძოლებში საშობლოს გამარჯვება მოუპოვეს.

გამარჯვების სხივმოსილი ასეთი დღესასწაული მოსკოვს ჯერ არ ახსოვს.

ჩვენი სამშობლოს გულია მოსკოვი, ხოლო მოსკოვის გულია კრემლი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს კაცობრიობის უდიდესი ადამიანი, ჩვენი ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, შშობლიური მამა, მოამაგე და ბელადი—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ლ. ხომერიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარილი მესამე *

პიონერული რგოლი

პიონერული ორგანიზაცია სკოლაში მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ძლიერი, თუ მისი ცალკეული რგოლები ძლიერნი არიან. პიონერული რგოლი ფუძეა მთელი პიონერული ორგანიზაციისა.

რგოლის წევრები, შეკავშირებულნი მჭიდრო მეგობრული ურთიერთობით, მოვალენი არიან იყვნენ კოლექტივის საერთო ინტერესების გამომსახველნი. ჩვენი — დაუქვემდებაროს თავისი პირადი ინტერესები კოლექტივის ინტერესებს — პიონერს უპირველეს ყოვლისა უნდა გამოუმუშავდეს აქ, პიონერულ რგოლში. მოწინავე პიონერულ რაზმად ითვლება ის რაზმი, რომლის ყველა რგოლი კარგად მუშაობს. აი რატომ არის საჭირო, რომ რგოლის ხელმძღვანელებად დაინიშნონ მოწინავე, ინიციატივიანი პიონერები. რგოლის ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს შინაარსიანი და საინტერესო გახადოს რგოლის თვითეული წევრის ცხოვრება და მუშაობა.

რგოლი წინასწარ შემუშავებული გეგმით მუშაობს. სასურველია გეგმა სდგებოდეს 10 დღეში ერთხელ. გეგმას უთუოდ უნდა ჰქონდეს შემდეგი გრაფები: რას ვაკეთებთ, როდის, ვინ არის პასუხისმგებელი.

გეგმაში, რგოლის შეკრების გარდა გათვალისწინებული უნდა იყოს პიონერებისათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხები, მაგალითად, ექსკურსიები ბუნების წიაღში, მუზეუმში ან ისტორიულ ადგილებში; შეჯიბრება რომელიმე სახის სპორტში, მასობრივი თამაშობანი, ჭრბარიუმების შედგენა, სასკოლო ინვენტარის შეკეთება, საკლასო ოთახის დასუფთავება და მრავალი სხვა. რაც უფრო მოფიქრებული, შინაარსიანი და მრავალფეროვანი იქნება რგოლის სამუშაო გეგმა, მით უფრო საინტერესოდ გაიშლება მუშაობა რგოლში.

რგოლის შეკრება უნდა ხდებოდეს სულ ბევრი 10 დღეში ერთხელ. შეკრება არ უნდა იყოს მოსაწყენი. ამიტომ საჭიროა რგოლის შეკრების თემა წინასწარ იყოს მოფიქრებული და მოსამზადებელი მუშაობაც ადრევე გაიშალოს.

რგოლის შეკრება შეიძლება მიეძღვნას ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ ამბებს, რევოლუციურ დღესასწაულებს, მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს, ჩვენი ქვეყნის დიდ ადამიანებს: სპპჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, მეცნიერებისა და ხელოვნების გა-

*) დასაწყისი იხ. ჟურნალი „პიონერი" № № 8 და 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორნილ მოღვაწეებს. შეკრებაზე შეიძლება მოეწყოს შეხვედრა სამამულო ომის მონაწილესთან, დამსახურებულ მასწავლებელთან, სპორტსმენ მწვრალთან და სხვა. რგოლის შეკრება შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე სრულიად მარტივად, მაგალითად, მოეწყოს კოლექტიური კითხვა ბავშვებისათვის საყვარელი რომელიმე სპორტსმენ ზოგნისა, მოთხრობისა, ზღაპრისა.

პიონერები ხშირად აწყობენ შეკრებას მათთვის საინტერესო საკითხებზე, მაგალითად, ცხოველი ინტერესით ტარდება შეკრება თემაზე: „რა გამოვალ?“ ასეთ შეკრებაზე პიონერები თავის ამხანაგებს მოუთხრობენ, რა სპეციალობის დაუფლება აქვთ განზრახული, რა სახის სამსახურს გაუწევენ საშობლოს, საზოგადოებას მომავალში, როდესაც სრულწლოვანი მოქალაქეები გახდებიან. ისინი მოუთხრობენ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რომელი გამოჩენილი მეცნიერის, მუსიკოსის, მწერლის, მხატვრის, მოგზაურის, მფრინავის ან სხვა დიდი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა იტაცებს მათ და რომელი მათგანი გაუხდიათ მისაბაძ მაგალითად.

ერთ-ერთმა რგოლმა შეკრება მოაწყო თემაზე: „რის გაკეთება შემძლია?“ რგოლის წევრებს დაევალათ ამ შეკრებაზე ამხანაგებისათვის ეჩვენებინათ თავისი უნარი, ხელის სიმარჯვე და ამხანაგების წინაშე შეესრულებინათ ესა თუ ის სამუშაო. ოთახი, სადაც შეკრება იყო დანიშნული, უჩვეულოდ გამოიყურებოდა. აქ ბავშვებს მოეტანათ სხვადასხვა ხელსაწყოები და მასალები: ჩაქუჩი, ლურსმანი, ხერხი, ნემსი და ძაფი, მაკრატელი, წებო, ფუნჯი, ელექტროჩაიდანი და სხვა.

შეკრების ვახსნისთანავე პიონერები რიგ-რიგობით შეუდგნენ საქმეს: ისინი თავის ამხანაგებს უჩვენებდნენ, რის გაკეთებაც შეეძლოთ. ერთმა პიონერმა გაფუქებული ჩაიდანი შეაკეთა, მეორემ გარეგეული ფეხსაცმელი გაჩაკერა, მესამემ — ტანსაცმელს ღილები დააკერა და ა. შ. ამ შეკრებაზე ბავშვებმა ერთიმეორეს ასწავლეს უბრალო, მაგრამ ცხოვრებაში გამოსადეგი სამუშაოს შესრულება.

პიონერული რგოლის ამოცანას შეადგენს იბრძოლოს რგოლის წევრთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის. საამაყოა იყო ისეთი რგოლის ხელმძღვანელი, რომლის შემადგენლობაში არ არის არც ერთი უდისციპლინო და ზარმაცი პიონერი. რგოლის ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ პიონერს— ხარჩ ლენინელს ეკალება იყოს მოწონაევ, სამაგალითო მოსწავლე და ამასვე უნდა მოითხოვდეს ის რგოლის წევრებისაგან.

ჩამორჩენილი პიონერის გამოსასწორებლად რგოლმა ყოველნაირ ხერხს უხდა მიმართოსს შეისწავლოს პიონერის ოჯახური პირობები, დაუკავშირდეს მის მშობლებს, მასწავლებლებს, გამოარკვიოს ჩამორჩენის მიზეზები და სათანადოდ დაეხმაროს.

რგოლი ადგენს დღიურებს. დღიურებში ლამაზი, მხატვრული ენით უნდა იყოს აღწერილი მნიშვნელოვანი მომენტები რგოლის ცხოვრებიდან. დღიურს პიონერები მორიგეობით ადგენენ. დღიურები თვით პიონერების მიერ ლამაზად უნდა გაფორმდეს ნახატებით, ფოტოსურათებით, თავსამკაულებით, ჩუქურთმებით. დღიურებში შეიძლება მოთავსდეს პიონერთა შემოქმედება: საკუთარი ლექსები, მოთხრობები, ნახატები.

პიონერული რაზმი

პიონერული რაზმის კარგი მუშაობის უზრუნველსაყოფად რაზმის ხელმძღვანელი და რაზმის შტაბის უფროსი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ კლასის ხელმძღვანელ მასწავლებელს. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას—სამუშაო გეგმის შედგენა, რაზმის შეკრების თემის შერჩევა და სხვა—რაზმის ხელმძღვანელმა უნდა მიმართოს რჩევისათვის უფროს პიონერხელმძღვანელს ან მასწავლებელს. პიონერული რაზმი ერთთვიან სამუშაო გეგმას ადგენს. რაზმის გეგმა, ისევე როგორც რგოლისა, მრავალფეროვანი და შინაარსიანი უნდა იყოს, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სახის პიონერული საქმიანობა: **რაზმის** შეკრება, **სამხედრო** თამაშობანი, **ლაშქრობანი, ექსკურსიები, სამკურნალო** მცენარეების **შეგროვება, მინერა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების კოლექციების შედგენა, პიონერთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა, ლიტერატურული საღამოების მოწყობა, შეჯიბრება რგოლებს შორის სხვადასხვა სახის სპორტში, კოლექტიური სელა კინოებსა და თეატრებში, საძაძულო ომის ინვალიდთა ოჯახებისადმი დახმარება, კოლმეურნეობებისადმი დახმარება და მრავალი სხვა.

პიონერული ორგანიზაციების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რაზმის შეკრებებს. რაზმის ყოველი შეკრება რაიმე ახალს უნდა ჰმატებდეს პიონერებს, ის უნდა აწვდიდეს მათ გონებრივ საზრდოს, უნერგავდეს ძრომითს ჩვევებს, აწრთობდეს ფიზიკურად. სწორედ ამიტომ საჭიროა წინასწარ ორი-სამი კვირით ადრე შესდგეს შეკრების კონკრეტული გეგმა (პროგრამა) და გაჩაღდეს მოსამზადებელი მუშაობა.

რაზმის შეკრება სხვადასხვაგვარი არსებობს: რაზმები ხშირად ატარებენ ეგრეთწოდებულ **თემატურ შეკრებებს.** ასეთი შეკრების დამახასიათებელი ის არის, რომ შეკრების ყოველი ცალკეული ნაწილი შეეხამება ერთ მთავარ თემას. მაგალითად, რაზმის თემატური შეკრება მიძღვნილია კავკასიის დაცვისადმი. ვიგულისხმოთ, რომ ამ შეკრების გეგმაში პიონერებმა გაითვალისწინეს უფროს პიონერხელმძღვანელის საუბარი კავკასიის დაცვის შესახებ. ერთ-ერთ რგოლს დაევალა მხატვრულ-ლიტერატურული მონტაჟის მომზადება ამავე თემაზე, — პიონერები შეისწავლიან ამ დიდი ისტორიული მოვლენის ამსახველ ლექსებსა და სიმღერებს, მომზადებენ რუკას, მაკეტს, ფოტოალბომს, რომელშიც მოცემული იქნება მომეტება კავკასიის ბრძოლებიდან და სხვა. ამგვარად, შეკრება თავიდან ბოლომდე მიეძღვნება ერთ განსაზღვრულ საკითხს.

სულ სხვა სახისაა რაზმის **მიზნობრივი შეკრება.** ასეთ შეკრებაზე პიონერები ეწვევიან რაიმე ერთს, წინასწარ გამიზნულ საქმიანობას: მაგალითად, შეკრების მიზანია დამზადდეს ხის თოფები და სხვა ხელსაწყოები სამხედრო თამაშის ჩასატარებლად. პიონერები შეკრებისათვის მოამზადებენ საჭირო მასალას, იარაღებს, შეუდგებიან მუშაობას და სხვა.

რაზმის შეკრება შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე განსაზღვრული პროგრამით, რომელიც შეიცავს ერთმანეთისაგან დამოკიდებულ საკითხებს. ვიგულისხმოთ, რომ ასეთი შეკრების ერთ-ერთ საკითხად დგას რგოლის ხელმძღვანელთა მოკლე ანგარიშები ერთი თვის მანძილზე რგოლში გაწეული მუშაობის შესახებ; მეორე საკითხი შეეხება რაზმის სამუშაო გეგმის განხილვას, შემდეგ კი რომელიმე რგოლი ატარებს თავისუფალ ვარჯიშს, სხვები — ცეკვავენ, მღერიან და სხვა.

რაზმის პიონერხელმძღვანელის და შტაბის უფროსის ამოცანას შეადგენს ისე ააგონ რაზმის შეკრების გეგმა, რომ ის ყველა პიონერისათვის მიმზიდველი და საინტერესო იყოს. ყოველ შეკრებას პიონერები ხალისით და სიხარულით უნდა მოელოდნენ. ამ მიზნით თვმის შერჩევისას საჭიროა უთუოდ გავითვალისწინოთ თვით პიონერთა ინტერესები, მათი მოთხოვნები. ბავშვები შეკრებაზე უნდა ისმენდნენ ყველაფერს ახალს, რაც ავსებს და აფართოებს კლასში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, შეკრების მზადებასა და მის ჩატარებაში სასურველია მონაწილეობას იღებდეს ყველა პიონერი. პიონერები აქ უნდა იყვნენ არა როგორც მაყურებლები, არამედ აქტიური მონაწილენი შეკრებისა.



შეკრება მხიარული და მიმზიდველია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის გეგმაში გათვალისწინებულია ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედება: დეკლამაცია, სიმღერა, ცეკვა.

რა თემაზეც უნდა ტარდებოდეს რაზმის შეკრება, რა სახისაც უნდა იყოს ის, შეკრების დასაწყისი და შეკრების დასასრული ყოველთვის ერთნაირად—უკვე შემუშავებული ტრადიციით ტარდება. შეკრების ჩატარების წესი პიონერულმა აქტივმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს.

აი ეს წესიც:

ზუსტად დანიშნულ დროს, საყვირის ხმაზე, პიონერები რგოლების მიხედვით დგებიან ერთ მწკრივში. რგოლებს შორის თავისუფალი ადგილია დატოვებული რგოლების ხელმძღვანელთათვის. რგოლების მარჯვენა ფლან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზე მდგომთ ხელში უჭირავთ რგოლის ალმები, იმ ფერისა, რა ფერიც დადგიხა რაზმისათვის რაზმეულის შტაბმა.

რგოლების ხელმძღვანელები აპოწმებენ პიონერების გამოცხადებას და ემზადებიან პატაკისათვის. მწკრივის წინ დგანან რაზმის ხელმძღვანელი და რაზმის შტაბის უფროსი.

შტაბის უფროსი იძლევა განკარგულებას:

— რგოლის ხელმძღვანელებო, მოემზადეთ პატაკისათვის!

პირველი რგოლის ხელმძღვანელი აცხადებს:

— პირველი რგოლის პიონერებო, სმენა!—და მიდის სამწყობრო ნაბიჯით შტაბის უფროსისაკენ, აძლევს პიონერიულ სალამს და უპატაკებს:

— პირველ რგოლში 10 პიონერი ირიცხება, შეკრებაზე გამოცხადდა 9 პიონერი. არ გამოცხადებულია ნანა ნუცუბიძე ავადმყოფობის გამო. გიპატაკებთ პირველი რგოლის ხელმძღვანელი თინა ცერცვაძე.

ასეთივე წესით უპატაკებენ შტაბის უფროსს დანარჩენი რგოლების ხელმძღვანელები.

დასასრულ შტაბის უფროსი გასცემს განკარგულებას:

— რაზმო, სწორდი! რიგზე გაითვალეთ!

შეკრებაზე გამოცხადებულ პიონერთა საერთო რაოდენობის გამორკვევის შემდეგ შტაბის უფროსი უახლოვდება რაზმის ხელმძღვანელს. აძლევს პიონერულ სალამს და უპატაკებს პიონერთა რიცხვისა და შეკრების მიზნის შესახებ.

რაზმის ხელმძღვანელი იღებს პატაკს, ესალმება პიონერებს და მათი პასუხის შემდეგ იძლევა განკარგულებას:

— დროშის გამოსატანად მოემზადეთ! სმენა!

ძედროშეს ორ ასისტენტთან ერთად გამოაქვს დროშა მარცხენა ფლანგიდან, მიდის მარჯვნივ და დგება წინასწარ გათვალისწინებულ ადგილზე, სადაც დროშა რჩება შეკრების დასასრულამდე. დროშასთან შეკრების მიმდინარეობის დროს პიონერები, რიგრიგობით, განსაზღვრული დროის მანძილზე, დგებიან ყარაულებად.

დროშის გამოტანისას რაზმის ხელმძღვანელი, შტაბის უფროსი ·ძედროშის ასისტენტები პიონერულ სალამს იძლევიან. დროშის დაბინავების შემდეგ რაზმის ხელმძღვანელი იძლევა განკარგულებას: „თავისუფლად!“, რის შემდეგ დაიწყება შეკრება წინასწარ შემოშავებული გეგმით.

თუ შეკრებას სკოლის დირექტორი, წითელი არმიის რომელიმე მეთაური ან კომკავშირის რაიკომის (ქალაქკომის) წარმომადგენელი ესწრება, რაზმის ხელმძღვანელი მოვალეა უპატაკოს მათ შეკრების მიზნის შესახებ.

შეკრების ძირითადი ნაწილის დამთავრებისას რაზმის ხელმძღვანელი აცხადებს: „ყურადღება!“ და სწყდება ყოველგვარი მოძრაობა და ლაპარაკი, ყველა დგება „სმენაზე“ პირით ხელმძღვანელისაკენ.

როცა ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას: „დადექით!“, პიონერები დგებიან მწკრივში იმავე წესით, როგორც იდგნენ შეკრების დასაწყისში. რაზმის ხელმძღვანელი აცხადებს:

— სწორდით! სმენა! დროშის გასატანად მოემზადეთ!

რაზმის ოროშა საყვირისა და დოლის ხმაზე გააქვთ ძედროშეს და მის ორ ასისტენტს.

დროშის გატანის შემდეგ ხელმძღვანელი პიონერებს მიმართავს დევიზით: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“ პიონერები ერთხმად უპასუხებენ: „მზად ვართ!“

საპოლოოდ ხელმძღვანელი აცხადებს: „დაიშალეთ!“ და შეკრება მთავრდება. უმცროსი ასაკის პიონერებისათვის შეკრებამ უნდა გასტანოს არა უმეტეს 1—1½ საათისა, ხოლო უფროსი ასაკის პიონერებისათვის—არა უმეტეს 2—2½ საათისა.

რაზმი, ისევე როგორც რგოლი, ადგენს დღიურებს. რაზმის დღიურები, ეს სარეკ რაზმის მთელი საქმიანობისა, როგორც თავისი შინაარსით ისევე გაფორმებით უნდა გამოირჩეოდეს რგოლების დღიურებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კედლის გაზეთი რაზმსა და რაზმეულში

პიონერულ რაზმეულს და აგრეთვე ყოველ პიონერულ რაზმს აქვს საკუთარი ორგანო—კედლის გაზეთი. როგორც რაზმეულის, ისევე რაზმის კედლის გაზეთის აძოცანებს შეადგენს დაეხმაროს მასწავლებლებს სკოლაში აკადემიური დონის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში, დაეხმაროს უფროს პიონერხელმძღვანელს და მთელს პიონერულ აქტივს—უფრო მიმზიდველი, საინტერესო და სასარგებლო გახადონ პიონერული მუშაობა სკოლაში. აქედან დასკვნა: რაზმეულისა და რაზმის კედლის გაზეთებში უნდა შუქდებოდეს სასკოლო და პიონერული საკითხები, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა სკოლისა და პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებიდან. გაზეთი ფართოდ უნდა აშუქებდეს მოწინავე რვოლებისა და რაზმების, წარჩინებული მოსწავლეების გამოცდილებას, მასწავლებელთა რჩევა-დარიგებას. გაზეთი უნდა მოეწოდებდეს მოსწავლეებს იყვნენ თავაზიანნი მასწავლებლებთან, მშობლებთან, უფროსებთან; უფროსილდებოდნენ სასწავლო ინვენტარს, სასკოლო ქონებას, იბრძოლნენ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების დანერგვისათვის, საკუთარი სკოლის, კლასის, რაზმის სახელისათვის.

კედლის გაზეთი მრავალფეროვანი და საინტერესო საკითხავი უნდა იყოს. ამ მიზნით წმინდა სასკოლო-პიონერულ საკითხებთან ერთად გაზეთში უნდა თავსდებოდეს მხატვრულ-ლიტერატურული მასალა, პიონერთა შემოქმედება: ლექსები, მოკლე მოთხრობები, ნარკვევები, პიონერების შთაბეჭდილებანი საბავშვო წიგნების გამო. გაზეთს მიმზიდველს გახდის გასართობი: რებუსები, შარადები, გამოცანები, ჩაინეორდები, კროსეორდები და სხვა თავსატეხი თამაშობანი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთის გარეგან სახეს, მის გაფორმებას. გაზეთი მაღალ გემოვნებით, მონდომებით და ფაქიზად უნდა გაფორმდეს. სუფთად დაწერილი ტექსტი, ლამაზად განლაგებული მოკლე წერილები, კარგად გაფორმებული სათაურები, ნახატები, ფოტოსურათები, კედლის გაზეთს სასიამოვნო სახეს აძლევენ და მკითხველს იზიდავენ.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიები ზოგჯერ ივიწყებენ, რომ გაზეთის ყოველ ნომერს უთუოდ ესაჭიროება რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი. გაზეთის სათაურის ზეკით, მარცხენა კუთხეში უნდა მოთავსდეს პიონერული დევიზი: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“ ხოლო სათაურის ქვემოთ მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ არის ჯამოქცევლი ამ გაზეთისა, რამდენ ხანში ერთხელ გამოდის.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთის ენას. სარედაქციო კოლეგია უნდა ერიდოს გაზეთში ენობრივ შეცდომებს, კუთხურ გამოთქმებს, უცხო ტერმინებს და ეცადოს ყოველი წერილის ენა იყოს მარტივი, ადვილად გასაგები მკითხველისათვის.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობა უნაყოფო იქნება, თუ მას ირგვლივ შემოკრებილი არ ეყოლება ბავშვკორთა ფართო ჯგუფი. ბავშვკორების მოზიდვისათვის თვით სარედაქციო კოლეგიამ უნდა იზრუნოს: მისცეს მათ დავალანი, მოაწყოს მათთვის საუბრები სხვადასხვა თემებზე, მაგალითად, „როგორი უნდა იყოს ბავშვკორი“, „როგორ შეეარჩიოთ საგაზეთო წერილის თემა“, „როგორ ვწეროთ საგაზეთო წერილი.

ხშირად კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიები უგულვებელ, უსისტემოდ მუშაობენ, გულხელდაკრეფილნი ელიან შემთხვევით შემოსულ მასალებს. ასეთი სარედაქციო კოლეგია ვერ უზრუნველჰყოფს კედლის გაზეთის დროულად და მაღალხარისხოვნად გამოშვებას. სარედაქციო კოლეგიის მუშაობა ნაყოფიერი იქნება, თუ ამ მუშაობას წარმართავს წინასწარ შემუშავებული, ღრმადმოფიქრებული გეგმის მიხედვით.

კედლის გაზეთი, ორკვირეული იქნება ის თუ ერთთვიური, უთუოდ დანიშნულ დღეს უნდა გამოდიოდეს. ცხადია არავითარი ავტორიტეტი არ აქვს და თავის მიზანსაც ვერ ემსახურება ისეთი კედლის გაზეთი, რომელიც თვეობით იგვიანებს. მკითხველებმა უნდა იცოდნენ კედლის გაზეთის გამოსვლის დღე და მოუთმენლად უნდა მოელოდნენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმისა და რაზმეულის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს ირჩევენ თვით პიონერები რაზმისა და რაზმეულის შეკრებაზე. სარედაქციო კოლეგიის წევრებად და მით უმეტეს რედაქტორებად უნდა შევარჩიოთ წარჩინებული, ავტორიტეტიანი, უნარიანი და ამ საქმით დაინტერესებული პიონერები.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ერთ-ერთ თავის ლექსში ამბობს: „გაზეთი ჩვენი თვალები და ხელებია“.

რაზმისა და რაზმეულის კედლის გაზეთის რედაქტორებო! ეცადეთ თქვენი გაზეთი გახდეს თქვენი სკოლის, თქვენი პიონერული ორგანიზაციის მახვილი თვალი და ყური.

ჩურჩხელის ნაამბობი

მართლა, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როდესაც კარადის უმეველბელ უჯრაში სამასზე მეტი და-ძმანი ერთად ვიწექით. ერთმანეთთით ვტკბებოდით და უფრო მეტად ვშაქრდებოდით...

ერთ დღეს გაიღო კარადის კარები. ჩვენი მზრუნველი პატრონის მაგივრად გამოგვეცხადა თმაჭორნანი ბიჭი, რომელიც დაგვაკაკვერდა, მერე რამდენიმე მოყვანილი ჩურჩხელა ამოგვარჩია, მოგვთავსა ყუთში, მოგვაშორა იმ ჩვენ საყვარელ მხარეს, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. ბოლოს ჩამოგვიყვანა ქალაქში.

ჩვენ შიშით ვკანკალებდით, თუ რა ბედი გველოდა ამ უცხო მხარეში, მაგრამ შიშმა ტყუილად ჩაგვიარა. ჩვენმა ახალმა პატრონმა, სათუთად, რბილად და თბილად შეგვახვია, გვითხრა:

— აბა უფრო დაშაქრდით, დატკბით, რომ ღირსეული სტუმარი დაატკბოთო.

შემდეგ ყველას გამოუცხადა, ჩვენთვის ხელი არავის ეხლო, და წიგნებით სავსე კარადაში ჩაგვმალა.

შიში აღარავისი გექონდა. ვიყავით მოსვენებით და მხოლოდ მოველოდით იმ საასხარულო დროს, დაგვეტკბო ის ღირსეული სტუმარი.

მე მაინც გულში შიში ჩამყავ. ჩვენმა პატრონმა, როდესაც ყველა გაფრთხილა, — ჩვენთვის ხელი არავის ეხლო, — მაშინ იქ იდგა ერთი ცქრიალა, ცუგრუმელა გოგო, რომელიც ტუჩების ცმაცუნით ისე შემოგვხედავდა ხოლმე, ახლაც რომ მაგონდება ტანში ჟრუანტელი მივლის.

ვიყავით ისე ათნი და-ძმანი ბედნიერად. ერთხელ უცნაური შრიალი შემოგვესმა. პატარა ხელებმა ერთი ძმა მოგვტაცა და მის ნაცვლად ჩვენი ზომის ჩხირი შეგვმატა.

მიდიოდნენ დღეები. და-ძმები გვაკლდებოდა და ჩხირები გვემატებოდა. ბოლოს მე და ჩემი ერთი ძმაღა დავრჩით, როდესაც ჩვენმა პატრონმა ისევე შეკრულ-შეხვეულები გამოგვიყვანა კარადიდან. თვითონაც რაღაც ქაღალდები მოაპზადა და დააბირა წასვლა, ძაგრამ ისევ შემოტრიალდა, ჩაილაპარაკა:

ვნახო ხომ არ გაფუჭდა რომელიმე და სანვევი შემოგვხსნა.

ელდანაცემს თვალები დაუბნელდა, როდესაც ჩემს ირგვლივ ჩურჩხელების მაგივრად ერთი ზომის ბომსხო ჩხირები დაინახა.

ქაღალდები მაგიდაზე დაჰყარა და ხმამაღლა დაიყვირა:

— ეს რა ამბავია! ვინ ქნა ეს? ყველანი ხმაგაკმენდილი შესაკერეროდნენ მას. ის კი ყველას სათითოოდ აშტერდებოდა სახეში. უცბად შეინძრა, გადატა და იმ ცქრიალა პატარა გოგოსთვის სილა უნდა გაეტყა, რომ ის შეაყენა საცოდავი ხმით, ხვეწნის კილოთი წარმოთქმულმა სიტყვებმა:

— შენი ჭირიმე... არ მცემო, მაშ რა მექნა, რომ მინდოდა... — ყველას სიცილი წასკდა.

ჩვენმა პატრონმა სხვა ადგილას დაგვმალა წიგნებში. ერთი უბედურება კიდე მეწია: ჩემი ძმაც ავად გახდა, ნოგაზის გულში ჭია გაეჩინდა და გამოუფქვა გული. დავრჩი მე ერთი საცოდავად. პატრონი მანუგეშებდა:

— ნუ ჯავრობ! რა ვქნათ, ყველაფერი მოხდება ხოლმეო.

ჩემი პატრონის ეს სიტყვები ვერაფერ მალამოს მცხებდა, რადგან უკვე ორი წლისა შეესრულდი და მუსაძეში გადავდექი. ახლა კი მართლა დამიდგა ნახატრი დრო. ისევ და-ძმებთან შევიმოსე. ჩემს ახალ და-ძმებს სიხარულით მოეკიდენი წინ და მოგდივართ თქვენთან, რომ ორი წლის უკან თუ ვერა, ახლა მაინც დაკატკბოთ!

იოსეფ კავლიაშვილი

უხილავი სამყარო

ფერილი მესამე *

XIX საუკუნის დამდეგიდან, როგორც დავინახეთ, ატომის ცნება მტკიცედ შევიდა ფიზიკასა და ქიმიაში. მეცნიერებმა მის საფუძველზე ახსნეს მთელი რიგი კანონზომიერებანი. მაგრამ ეს მაინც არ ამტკიცებდა ატომების რეალურ არსებობას. მეცნიერების ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ათეული წლების მანძილზე მცდარ შეხედულებათა საფუძველზე ხსნიდნენ მთელ რიგ მოვლენებს. მაგალითად, ქიმიაში საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბატონობდა ეგრეთწოდებული „ფლოგისტონური თეორია", რომელიც აღიარებდა „ცეცხლოვანი მატერიის" — ფლოგისტონის არსებობას და მისი საშუალებით ხსნიდა წვის მოვლენებს, სითბოს მატერიით — „სითბომბადიით" ხსნიდნენ სითბოს მოვლენებსა და სხვა. გავიდა ხანი და მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ არც ფლოგისტონი, არც „სითბომბადი" და სხვა ამგვარი ვითომ მატერიები არ არსებობენ და რომ ნივთიერებათა წვის, სითბური მოვლენების საფუძველს სულ სხვა მიზეზები შეადგენენ.

იქნებ ატომური თეორიაც ამგვარ მცდარ საფუძველზეა აგებული?!

ატომები ნომ არავინ დაუნახავს, გაუზომავს, აუწონია!

მაგრამ აი, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში მეცნიერებმა აღმოაჩინეს მოვლენები, რომლებმაც ფარდა ახადეს ატომის საიდუმლოებას, ცხადჰყვეს ატომის რეალური არსებობა.

50 წლის წინათ, 1895 წლის ნოემბერში, გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ რენტგენმა აღმოაჩინა უჩინარი სხივები, რომლებსაც მან იქნ (ე. ი. უცნობი) სხივები უწოდა და რომლებსაც შემდეგ, მის პატივსაცემად, რენტგენის სხივები უწოდეს. ამ აღმოჩენის გაელენით მსოფლიოს თითქმის ყველა ფიზიკურ ლაბორატორიაში შეუდგნენ რენტგენის ცდების გამეორებასა და პარალელურად სხვა ამგვარი სხივების ძებნას.

რენტგენმა თავისი სხივები იმის მეოხებით შენიშნა, რომ ამ სხივების მოქმედებით ნათება დაიწყო ციანპლატინის მჟავის ბარიუმის მარილით დაფარულმა ეკრანმა. მოვლენას, როცა რაიმე სხივების გავლენით ზოგიერთი სხეულნი და ნივთიერებანი ნათებას იწყებენ, ფლუორესცენცია ეწოდება.

პიერ კიური

პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი — ფიზიკის პროფესორი ანრი ბეკკერელი (1852-1908) დაინტერესდა საკითხით—ხომ არ უშვებენ მაფლუორესცირებელი სხეულები რამეს უხილავ სხივებს. ამ მიზნით ის ფოტოგრაფიულ ფირფიტას ახვევდა სინათლისათვის გაუვალი შავი ქაღალდის რამდენიმე ფენაში, ზევიდან ადებდა მაფლუორესცირებელ სხეულებს და ფლუორესცენციის გამოსაწვევად მზეზე ათავსებდა. სხვათა შორის მან გამოსცადა ურანის მარილები. ფოტოგრაფიული ფირფიტის გამომეცადინებისას ბეკკერელმა მასზე დაინახა ურანის მარილის კრისტალების გამოსახულება. ერთხელ, ცუდი ამინდების გამო, ბეკკერელმა ცდისათვის მომზადებული ფოტოგრაფიული ფირფიტა ურანის მარილიანად კარადაში შეინახა და როცა დიდი ხნის შემდეგ ფირფიტა გამოამეცადინა, თუმცა იგი ბნელში იდო, მასზე კვლავ შენიშნა ურანის მარილის კრისტალები. ცხადი იყო, აქ დგილი ჰქონდა არა ფლუორესცენციას, არამედ უცნობი სხივების გა-



მარია კიური-სკლოდოვსკაია

*) დასაწყისი. იხ. ჟურნ. „პიონერი" № № 6 და 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფას. ამ სხივებს ბეკკერელის სხივები უწოდეს. ძველს ასეულობეულაულობასა და მეცეიერულ ძრომებში ამ სხივებს ასეთი საასულოდებით ვხვდებთ, მაგრამ იგი მათ დიდხანს არ შერჩეიია.

ბეკკერელის აღმოჩენით დაინტერესდნენ პარიზში ძოშშავე მეცნიერები მარია და პიერ კიური. მარია კიური შეუდგა ურანის მადნის ძიერ უცნობი სხივებია გამოშვების მიზეზების შესწავლას. ძალე გამოირკვა, რომ გამოსხივეიბის ამგვარი თვისება ახასიათებს არა მარტო ურანს, არამედ მთელ რიგ სხვა ნივთიერებებს — რადიუმს, თორიუმს, აქტინიუმს, რომლებიც მათ და სხვა მეცნიერებმა აღმოაჩინეს. გამოსხივეიბის ამ უნარს მეცნიერებმა რადიაქტივობა უწოდეს („რადიუს" — ლათინურად სხივს ნიშნავს), ახალი სხივების გამომყოფ ნივთიერებებს კი — რადიაქტიური ნივთიერებანი.

აღმოჩენილი სხივების ბუნების გამოსარკვევად მარია და პიერ კიური ეს სხივები მაგნიტურ არეში გაატარეს. მაგნიტური არე სწორახაზოვანად მოძრავ წილაკებს გადახრის მარჯვნიდან მარცხნივ იმისდამიხედვით, თუ როგორ არის დამუხტული ეს წილაკები — უარყოფითად, თუ დადებითად.

მაგნიტურ არეში ბეკკერელის სხივები ორად გაიყო — ერთი ნაწილი მარჯვნივ გადაიხარა, სწორედ ისევე, როგორც იხრებოდნენ ხოლშე მაგნიტურ არეში უარ-

წარწერა ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, გაკეთებული ჰაეარა მინის მალლი, რომელშიც რადიუმის მარილი იყო მოთავსებული.

ყოფითად დამუხტული წილაკები — ელექტრონები, რომლებიც ელექტრობის ატომებს წარმოადგენენ.

ამგვარად გამოირკვა, რომ ბეკკერელის სხივები შესდგება ორი ნაწილისაგან, ერთი ნაწილი სწრაფმოძრავი უარყოფითად დამუხტული წილაკების ნაკადს წარმოადგენს (რადიაქტიური ნივთიერებებიდან ამოტყორცნილი ზოგიერთი ელექტრონების სისწრაფე სინათლის სისწრაფეს — 300.000 კილომეტრს სეკუნდში — უახლოვდება). მეორე ნაწილი მაგნიტურ არეში არ იხრებოდა ისე, როგორც მაგალითად, არ იხრებიან მაგნიტურ არეში რენტგენის სხივები.

ალფა და ბეტა-სხივების გადახრა მაგნიტურ არეში.

მაგრამ 1903 წელს ერნსტ რეზერფორდმა დაამტკიცა, რომ ბეკკერელის სხივების ეს უკანასკნელი ნაწილი თავის მხრივ კიდევ ორ ნაწილად იყოფა. ეს მან შესძლო ძლერი მაგნიტის საშუალებით, გაცილებით უფრო ძლერით, ვიდრე მარია და პიერ კიურის მოუპოვებოდა. სხივების ერთი ნაწილი რეზერფორდის ცდების დროს გადაიხარა, მაგრამ არა იმ მხარეს, სათანაც ელექტრონების ნაკადი გადაიხრება ხოლმე, არამედ მოპირდაპირე მხარეს. მაშასადამე, სხივების ეს ნაწილიც წარმოადგენდა მატერიალური წილაკების ნაკადს, მაგრამ არა უარყოფითად, არამედ დადებითად დამუხტულს. სხივების ერთი ნაწილი კი კვლავ სწორახაზოვანად ვრცელდებოდა. ცხადი იყო იგი არ წარმოადგენდა მატერიალური წილაკების ნაკადს.

ამგვარად აღმოჩნდა, რომ ბეკკერელის სხივები, რომლებსაც რადიაქტიური ნივთიერებები გამოჰყოფდნენ, შესდგებიან სამგვარი სხივებისაგან, რომლებსაც ფიზიკოსებმა უწოდეს ალფა, ბეტა და გამმა სხივები (მეცნიერულ შრომებში მათ აღნიშნავენ ბერძნული ასოებით: α -სხივები, β -სხივები და γ -სხივები).

ალფა-სხივები ეწოდა სხივების იმ ნაწილს, რომელიც დადებითად დამუხტული წილაკების ნაკადს წარმოადგენს და მაგნიტურ არეში მარცხნივ იხრება;

ბეტა-სხივები — ბეკკერელის სხივების იმ ნაწილს, რომელიც უარყოფითად დამუხტული წილაკების — ელექტრონების ნაკადისაგან შესდგება; და, ბოლოს

გამმა-სხივები — ბეკკერელის სხივების იმ ნაწილს, რომელზედაც ძლევარი მაგნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებიც კი არ მოქმედებენ და რომელიც სწორახაზოვანად ვრცელდება.

1900 წელს მრავალმა ფიზიკოსმა შენიშნა, რომ ჰაერი იმ ნივთიერებათა გარშემო, რომლებიც სულ მცირეოდენ რადიუმს შეიცავენ, რადიაქტიური ხდება. ახალგაზრდა ინგლისელმა ფიზიკოსებმა ფრედერიკ სოდიმ და ერნსტ რეზერფორდმა მთელი რიგი ცდებით გამოარკვიეს, რომ რადიუმის გარშემო ჰაერის „გარადიაქტიურება“ იმით აიხსნება, რომ რადიუმი თავის მხრივ გამოჰყოფს რაღაც რადიაქტიურ გაზს, რომელსაც მათ რადიუმის ემანაცია უწოდეს. ჩქარა მათ ისიც შეამჩნიეს, რომ ემანაციის რადიაქტიური თვისებები თანდათანობით სუსტდებოდა და ოთხი დღის შემდეგ ორჯერ უფრო სუსტი იყო, ვიდრე პირველ დღეს. აქედან მათ სავსებით სწორად დასკვნეს, რომ ამ მხრივ გამონაკლისს არც სხვა რადიაქტიური ნივთიერებანი უნდა შეადგენდნენ, მათი რადიქტიური ძალაც უნდა სუსტდებოდეს, მაგრამ თუ ამის შემჩნევა არ ხერხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ რადიუმისა და სხვა მისდაგვარ ნივთიერებათა შემთხვევაში რადიაქტიური ნივთიერების შესუსტება მეტად ნელა ხდება.

მალე მეცნიერებმა ისიც გამოარკვიეს, რომ რადიაქტიური მოვლენების არც დაჩქარება შეიძლება ჩვეულებრივი საშუალებებით და არც შენელება.

საიდან ჩნდება რადიუმის ემანაცია? საიდან მოდის ბეკკერელის სხივები, რომელთა ორი ნაწილი დამუხტული მატერიალური წილაკების ნაკადს წარმოადგენს?

— ატომიდან! — ასეთი გაბედული აზრი გამოსთქვა ინგლისელმა ფიზიკოსმა ერნსტ რეზერფორდმა, რომელიც სამართლიანად ითვლება ატომის აღნაგობის თანამედროვე მოძღვრების ფუძემდებლად.

აი რეზერფორდის ჰიპოთეზის (ჰიპოთეზი ეწოდება მეცნიერულ მოსაზრებას, წამოყენებულს რაიმე მოვლენის ასახსნელად, რომელიც ჯერ კიდევ მოითხოვს დამტკიცებას და დასაბუთებას) ძირითადი საფუძვლები:

ერნსტ რეზერფორდი

ატომები ნამდვილად არსებობენ. არ არის სწორი, თითქოს ისინი განუყოფელი არიან.

რადიაქტიური მოვლენები ამას ნათლად ამტკიცებენ. ამ მოვლენების დროს ხდება ატომების აფეთქება. წინათ ურღვევად მიჩნეული ატომი იშლება, იქიდან გამოიყოფა ემანაცია, ალფა-წილაკები, ელექტრონები. რადიაქტიური მოვლენების სახით ჩვენ გვაქვს ნივთიერებათა ბუნებრივი გარდაქმნა.

რეზერფორდის ეს ჰიპოთეზი იყო ახალი და გაბედული.



დაზგაცმა დაბადება

ჩვენი ყურნალის ნორჩ მკითხველება ინტერესებთ ტექნიკის საკითხებიც, კერძოდ ითი განვითარების ისტორია. რუსულ ენაზე გასა-ყურებთ ძდიდარი ლიტერატურა არსებობს ტექნიკის ისტორიაზე. ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ზ. ჰერლის წიგნი „საოცარი დაზგები“, საიდანაც გადმოვიღეთ ჩვენი მკითხველებისათვის ერთი პატარა ნაწილი დაზგების ისტორიიდან.

ოთხი გამომგონებელი

ბევრმა არც კი იცის, რომ ოთხმა დიდმა გამომგონებელმა და შათ მიერ შექმნილმა დაზგებმა ფაქტიურად გარდაქმნეს მთელი მსოფლიოს ტექნიკა.

ვინ არიან ესენი? შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი შესანიშნავი საყოველთაოდ ცნობილი გამომგონებლები: უატი და პოლზუნოვი, ედისონი და იაბლოჩკოვი, ბელი და მორზე, მარკონი და პოპოვი, ძმები რაიტები, ფულტონი და სხვა მრავალი, რომლებმაც სრული გადატრიალება მოახდინეს ტექნიკაში.

მაგრამ ვერც ერთი ზემოხსენებული დიდი გამომგონებელი ვერ შეესწრებდა თავისი გამოგონების პრაქტიკულ განხორციელებას, რომ მათთვის გზა არ გაეკვლიათ ვილკინსონის, ბრამას, მოდსლეის და უატნის.

მათ შეჰქმნეს პირველი ლითონდამუშავებელი დაზგები და მოწყობილობანი: შიგაჩარხვის, სახარატო, მღარავი და სარანდავი დაზგები, რომლებიც ჩვენს დროში (გაუმჯობესებულად* სახით) ლითონდამუშავების ძირითად საშუალებას წარმოადგენენ. ყველაფერი ახალი, რაც კი გაკეთდა ამ ოთხი გამომგონებლის შემდეგ დაზგათმშენებლობის დარგში, არის მხოლოდ ამ დიდი შემკვიდრეობის რაციონალიზაცია და შემდგომი გაუმჯობესება.

რა როლი შესრულეს მათ მიერ შექმნილმა მანქანებმა მეცნიერებასა და ტექნიკაში? რატომ ენოდა დავაყენოთ ისინი. მაგალითად, ტელეგრაფის. ორთქლის მანქანის, რადიოს, თვითმფრინავის გამომგონებელთა გვერდით? საქმე ისაა, რომ შიგაჩარხვის, სახარატო, მღარავი და სარანდავი დაზგები წარმოადგენენ საფუძველს ყველა რთული მანქანისა და ხელაწყოს დასაამზადებლად. ამ დაზგებმა გაადვილეს ლითონის დამუშავება, მათ გარეშე ალბათ ლითონის დამუშავება, ბამბის საწმენდ მანქანებს, ელექტროსინათლეს, ავტომობილს, ტელეგრაფს, ტელეფონს, გემს, ორთქლმავალს, თვითმფრინავს.

ჰენრი მოდსლეი

ჯონ ვილკინსონი

ჯონ ვილკინსონი

„რკინის მეფე“ — ასე უწოდებდნენ ინგლისში ცნობილ ინჟინერსა და მრეწველს ჯონ ვილკინსონს, იგი იყო ნიჭიერი მეტალურგი, მექანიკოსი და გამომგონებელი. აღსანიშნავია, რომ ვილკინსონის გაუმჯობესებულ ცილინდრს ხმარობდა ორთქლის მანქანის გამომგონებელი ჯემს უატი, მაგრამ ცილინდრის შიგაჩარხვის დასაზუსტებლად საჭირო გზდა სპეციალური ხელსაწყო, რაც ვილკინსონმა რამდენიმე დღეში დაამზადა. ეს იყო ლითონის დასამუშავებელი პირველი დაზგა მთელ მსოფლიოში. რაც მთავარია, ვილკინსონის დაზგა საშუალებას იძლეოდა ახალი გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის გზით მიეღწია ლითონის დამუშავების კიდევ უფრო მიტ სიზუსტეტს.

ლონდონელი ქურდები და ბრამას ბოქლომი

ინგლისელი გლეხის შვილი ჯოზეფ ბრამა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც პირველად ლონდონს ჩავიდა. ამ დროს ქალაქში ქურდობამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. ჩასვლის პირველ დღესვე გაქურდეს თვით ბრამა. და აი ჯაბუკის გონებაში ახალი იდეა დაიბადა — გაეკეთებინა ისეთი ბოქლომი, რომელსაც ვერც ერთი ქურდი ვერ ადაღებდა. ამისათვის კი საჭირო გახდა ლითონის დიტალების მასობრივი და ზუსტი დამზადება, რაც შეუძლებელი იყო დაზგის გარეშე. ბრამა შეუდგა საქმეს და მალე დაზგაც დაამზადა. აღსანიშნავია, რომ მის მიერ დამზადებული ბოქლომები 70 წლის განმავლობაში საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს ინგლისში და ვერც ერთი ქურდი ვერ აღებდა მათ.

„სრიალა საბრჯენი"

ბრამას დაზგის შექმნა-დამზადებაში დიდ თანამონაწილეობას უწევდა ახალგაზრდა მეგირდი ჰენრი მოდსლეი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ლითონზე მხატვრობის ოსტატს" უწოდებდნენ. ბრამამ და მოდსლეიმ ერთად გადაწყვიტეს ის ამოცანა, რომლის საფუძველზე შეიქმნა ლითონდამუშავების თანამედროვე სხვადასხვაგვარი დაზგა.

1794 წელს მოდსლეიმ გამოიგონა დაზგის ახალი სამარჯვი (მოწყობილობა), რომელსაც დღეს „სუპორტს" („სრიალა საბრჯენს") უწოდებენ. ეს კი საშუალებას აძლევდა ლითონსაჭრელ დანას ზუსტად, სწრაფად და თანაბრად დაემუშავებინა ლითონის ზედაპირი. ამ გაუმჯობესებამ სრული რევოლუცია მოახდინა დაზგათმშენებლობაში და დასაწყისი მისცა ახალი კონსტრუქციის დაზგების შექმნა-განვითარებას.

უიტნეის ათი შაშხანა

ვილკინსონის, ბრამასა და მოდსლეის გამოგონებათა ასპარეზი ინგლისი იყო, სადაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება დაზგათმშენებლობის სწრაფი განვითარება. XVIII საუკუნის დასასრულს ამერიკელებმაც ენერგიულად მოჰკიდეს ხელი დაზგათმშენებლობას და მალე ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ არა თუ დაეწიენ ინგლისს, არამედ ბევრადაც გაუსწრეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს.

1798 წელს ვაშინგტონში (ა. შ. შტატები) მიმდინარეობდა კონგრესის სხდომა. დღის წესრიგში იყო: „ელი უიტნეის მოხსენება მთავრობისათვის შაშხანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების გადაცემის შესახებ".

კონგრესზე ელი უიტნეიმ განაცხადა, რომ მის ქარხანას შეუძლია დაამზადოს 10.000 შაშხანა და ისეთი პირობით, რომ ერთი შაშხანის ყოველი ნაწილი თავისუფლად მიუდგება დანარჩენ 9.999 შაშხანას. კონგრესის წევრებმა მოითხოვეს ამ დებულების პრაქტიკულად ჩვენება და უიტნეის ორმა ზეინკალმა შუა დარბაზში შემოიტა-



ელი უიტნეი კონგრესის სხდომაზე

ნა ათი შაშხანა, რომლებიც დაშალეს და ყველა ნაწილი ერთმანეთში აურიეს. შემდეგ შაშხანები კვლავ აწყეს და თვითეულ მათგანს სხვადასხვა შაშხანის დეტალი მოერგო. ამით უიტნეიმ უსიტყვოდ დაამტკიცა თავისი დებულება, რომ მას მართლა შეუძლია დაამზადოს შაშხანები ურთიერთ შემცველი ნაწილებით.

უიტნეის ეკუთვნის აგრეთვე ბამბის საწმენდი მანქანის გამოგონება, მაგრამ მთავარი მისი დამსახურება მდგომარეობს იმ ახალი ტიპის დაზგების გამოგონებაში, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სამხედრო მრეწველობა და მანქანათმშენებლობა; კერძოდ, მან პირველმა შექმნა სარანდავი დაზგა.

ასეთია ამ ოთხი დიდი გამომგონებლის დამსახურება მთელი კაცობრიობის წინაშე, მეცნიერებისა და ტექნიკის, კერძოდ კი მანქანათმშენებლობის წინაშე. რაღგანაც დაზგის გარეშე მანქანათმშენებლობა ვერ იარსებებს.

დეკრეტული დრო

წინა წერილში ჩვენ საუბარი გვქონდა ზონური დროის *) შესახებ, გავარკვიეთ, თუ როგორ არის მთელი დედამიწა დაყოფილი სიგრძედზე **) 24 სასაათო სარტყლად ანუ ზონად და თუ როგორ იქნა ამის მიხედვით შემოღებული ზონური დრო. მაგრამ ყოველდღიური ცხოვრების რეგლამენტაცია (მოწესრიგება) ამა თუ იმ სახელმწიფოში ზოგჯერ ზონური დროით კი არ ხდება, არამედ დეკრეტული დროით.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან დაწყებული ჯერ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში, შემდეგ საბჭოთა ქვეყანაშიც საწვავის, სინათლისა ენერგიის ეკონომიის მიზნით შემოიღეს საათის ისრის ერთი ან რამდენიმე საათით წინ გადაწევა ნაფხუოლის, გრძელდღიანი პერიოდისათვის, ზოგჯერ კიდევ უკან გადაწევა ზამთრის, მოკლედღიანი პერიოდისათვის. საათის ისრის გადაწევა მთავრობის განკარგულებით ხდება და ერთხელ გადაწეული რჩება ასე კვლავ მთავრობის ახალ განკარგულებამდე, ამტომ ასეთ დროს დეკრეტული დრო ეწოდება. მიმდინარე წლის სექტემბრის „ბაზეთებში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტმა ტრუმენმა „დაამტკიცა განკარგულება იმის შესახებ, რომ 30 სექტემბერს საათის ისარი გადაწეულ იქნას 1 საათით უკან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა იქ მოსახლეობა ერთი საათით გვიან იწყებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებას შედარებით ზონურ დროსთან.

საბჭოთა კავშირში დეკრეტული დრო შემოღებულ იქნა 1930 წლის ივნისიდან. საათის ისარი გადაწეულ იქნა წინ ერთი საათით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ერთი საათით ადრე იწყებს და ამთავრებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებას შედარებით ზონურ დროსთან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის თვითეული ქალაქი თავისი ზონის დროით კი არ ცხოვრობს, არამედ აღმოსავლეთიდან მოსაზღვრი ზონის დროით, რომელიც, როგორც ადვილი მისახვედრია, ერთი საათით წინაა. მაგალითად, თბილისი, ნაცვლად მესამე ზონის დროისა, მეოთხე ზონის დროით ცხოვრობს, ვლადივოსტოკი, ნაცვლად მეცხრესი, მეათე ზონის დროით და ა. შ.

თვით ის დრო, რომელსაც ჩვენ „მოსკოვის დროს“ ვუწოდებთ და რომელთანაც შუდამ საქმე გვაქვს, განსაკუთრებით ტრანსპორტზე, დეკრეტული დროა და გრინიჩის (მსოფლიო) დროსთან შედარებით წინ არის არა ორი საათით, როგორც ეს მეორე (მოსკოვის). ზონის მიხედვით უნდა იყოს, არამედ სამი საათით, ესე იგი მოსკოვი მესამე სასაათო ზონის დროით ცხოვრობს.

თუ რამდენი საათით წინაა (ან უკან) „ზონური დრო გრინიჩის (მსოფლიო) დროსთან შედარებით, ამის გამოანგარიშების ხერხს ჩვენ გავეცანით წინა საუბარში. ახლა იმის გასაგებად, თუ რამდენი საათით წინაა ამა თუ იმ ზონაში დეკრეტული დრო გრინიჩის დროსთან შედარებით, საკმაოა აღებული ზონის ნომერს მივუმატოთ ერთი. მაგალითისათვის თუ ავიღებთ თბილისს, გვეკნება: თბილისის ზონური დრო გრინიჩის დროსთან შედარებით წინ არის სამი საათით, რადგან თბილისი მესამე ზონაშია, თბილისის დეკრეტული დრო კი ოთხი საათით (3+1=4) არის წინ გრინიჩთან შედარებით.

მიმდინარე წლის ნოემბერში ინგლისის ქალაქებში—ლონდონში, კარდიფში, გლაზგოში ჩატარდა მოსკოვისა და ინგლისის ფეხბურთელთა მატჩები. გაზეთები, რადიო გვამცნობდა—ესა და ეს მატჩი დაიწყება ლონდონის დროით 14 საათსა და 30 მინუტზე ანუ მოსკოვის დროით 17 საათსა და 30 მინუტზეო. თბილისის დროით ეს 18 საათი და 30 მინუტი არის, ესე იგი საღამოს 6 საათი და 30 მინუტი, და როდესაც ჩვენ რადიოთი მატჩის გადმოცემას ვუსმენდით, ჩვენთან უკვე დამდებოდა, ინგლისში კი ჯერ ისევ დღე იყო. რატომ? იმიტომ, რომ როგორც ზემომოყვანილ მაგალითიდან ჩანს, თბილისის დეკრეტული დრო 4 საათით წინ არის შედარებით გრინიჩის დროსთან, როდესაც

*) იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 9.

**) წერილში „ზონური დრო“ სიტყვა „სიგანედ“, „ყველგან უნდა ეკითხებოდის „სიგრძედ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია ინგლისში, როგორც ნულოვანი სასაათო ზონის ქვეყანაში.

გარდა ამისა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამა თუ იმ ზონის დეკრეტულ დროსა და მოსკოვის დროს შორის განსხვავება უდრის ზონის ნომერს, 2-ით შემცირებულს. მაგალითად, განსხვავება ვლადივოსტოკის დეკრეტულ დროსა და მოსკოვის დროს შორის უდრის ვლადივოსტოკის ზონის ნომერს—9-ს, შემცირებულს 2-ით, ესე იგი 9—2=7 საათს, თბილისისათვის 3—2=1 საათს და ა. შ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ დეკრეტული დროის დაწესებით ზონური დრო თითქოს ჰკარგავს თავის მიზანდასაწესებულებას. არა. ზონური დრო მუდმივადაა შემოღებული, დეკრეტული დრო კი, როგორც დავინახეთ, სეზონურია, დროებითი, ამა თუ იმ საველმწყოფოს მთავრობის განკარგულებაზე დამოკიდებული; იგი ზონურ დროსთან არის შეფარდებული.

შინაარსი

ჯამბული—დიდი სტალინური კანონი (ნაწყვეტი ლექსიდან) — გარეკანის მე-2 გვ.
ლ. სტერნა—40 წლის წინათ (წერილი). 1 „
სიო ხიდისთაველი—ბელადის აკვანთან (ლექსი) 3 „
საყვარელი წიგნი — — — — — 4 „
პეტრე კაპანაძე—ტოლ-ამბანაგებში (ნაწყვეტი წიგნიდან „ბელადის ბავშვობა და ყრმობა") 5 „
კეთევან ქუჩუკაშვილი—ზამთარი (ლექსი) 7 „
არნო ონილი—ჩვენს კარგ ზამთარს გაუმარჯოს (ლექსი) — — — 7 „
ლავრენტი ბეჟანაძე—გუშაგი (მოთხრობა) 8 „
კ. გოგიაშვილი—კარგი ბიჭი (მოთხრობა) 9 „
ემელიან ვიორგაძე—მოხეტიალე მუსიკოსი (მოთხრობა გადმოკეთებულია იტალიურიდან) 11 „
იოსებ გრიშაშვილი—დანის მოყვარული ზურაკო (ლექსი). — — — 12 „
მურმან ლებანიძე—კაკანათი (სპბაკშვო პოემა) 13 „
ივან-არაკები — — — — — 15 „
ლ. ხიმერიკი—საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი — — — 16 „
პიონერული აქტივის დასახმარებლად 20 „
იოსებ პავლიაშვილი—ჩურჩხელის ნაამბობი (მოთხრობა) — — — — 25 „
ევგენი ფოლაძე—უხილავი სამყარო (ატომისტიკის ისტორიიდან, წერილი მესამე) 26 „
გრ. ზარდალიშვილი—დაზგების დამადება (ტექნიკის ისტორიიდან) 29 „
შ. სიმონელი—დეკრეტული დრო (საუბარი ასტრონომიიულ საკითხებზე) 31 „
გასართობი — — — — გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მ. დაუშვილის ნახატი—„ზამთარი"

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი**, **თ. ელიავა** (პ/მგ. რედაქტორი), **შ. გვინჩიძე**, **ვ. ვარდიაშვილი**, პროფ. **გ. თავზიშვილი**, **ს. კეცხოველი**, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

ფუ—01101. ტირაჟი 7000. გამომ. № 4 სტამბის შეკვ. № 36
ლ. პ. ბერიას სახელობის ჰკკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28,
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია სპქ. სსრ კავშირ მრეწვ. სახ. კომისარიატის ლიითოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ლექსი-გამოცანა

შორი გზიდან მოდის სტუმრად,
წინ მოუძღვის წვიმა-ქარი.
არავის სძულს, ძაგრამ მაინც
არსად ხვდება ღია კარი.

იშვიათად გაიცინებს,
იშვიათად უყვარს დარი.
როცა გრძანებს, თეთრი ქურქით
იმოსება მთა და ბარი.

გრძელი ღამის მოყვარული
ზვიადი და ცივი არის.
ბაბუსავით თმთეთრია
დიდ შევერცხლილ ტახტზე მჯდარი.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲕᲐᲮᲘᲫᲔ



ამ 16 წრეში ისე გაანაწილეთ რიცხვები 1-დან 16-მდე, რომ რიცხვთა ჯამი თვითეულ ექვსკუთხედში შემავალ 6 წრისა უდრიდეს 40-ს.

შედგენა მოსწავლე **Გ. ᲒᲐᲡᲐᲞᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ**

ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲐ—ᲮᲣᲛᲠᲝᲕᲐ

1.

რომელი ხილია, რომ დაჭარგავს რა ერთ ასოს, გადაიქცევა ცეცხლად?

2.

მაგიდაზე იდგა ორი ანთებული ლამპა. ერთი ჩააქრეს, რამდენი დარჩა?

პასუხი ჟურნ. „პიონერში“ მოთავსებულ

გასართობ გამოცანებზე

Რ. ᲗᲐᲕᲫᲘᲓᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲐ (№ 8)

ლილა. ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაეხვეოდა იასა...

ᲩᲐᲘᲜᲕᲝᲠᲓᲘ (№ 6)

1. სტალინგრადი, 2. ინგლისი, 3. იავა, 4. ამო, 5. ორინოკო, 6. ოაზისი 7. ილბუნი, 8. იაპონია, 9. ალიკანტე, 10 ევერესტი, 11. იეზო, 12. ოტავა, 13. ატლასი, 14. ინდიანა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲐ (№ 6)

კომში.

ᲛᲔᲠᲕᲘᲡᲙᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲜᲐ (№ 7)

ცხრა ტომარა უნდა დავალაგოთ ასე:
2—78—156—39—4.

ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲐ (№ 7)

ბროწეული.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲮᲓᲔᲑᲐ? (№ 6)

იმიტომ ხდება, რომ მანძილი (ასანთის ღეროების რიცხვი) A-დან B-მდე ტოლია მანძილის B-დან C-მდე.

* * *

გამოცანები ამოხსნეს და პასუხები გამოგზავნეს რედაქციაში შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

მერი ფეიქრიშვილმა (დუშეთი), დავით დანიელიშვილმა (თბილისი), მურმან სიხარულიძემ (თბილისი), ვახტანგ გოგოლაშვილმა (ქუთაისი), რევაზ მორჩილაძემ (ქუთაისი), ლეილა ბიწაძემ (ჭიათურა), თამაზ ებანოიძემ (ხაშური), მამია ნაცვლიშვილმა (სამტრედია), ლილი აბიაშვილმა (ხაშური).

ფასი 5 შაბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/65

1089/65